

## ლიბერთი ანგარიშის მომსახურების პირობები

### ნაწილი I

#### 1. შესავალი

1.1. წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს საბანკო მომსახურების პირობებს (შემდგომში - "პირობები"). რომელიც განსაზღვრავს საბანკო პროდუქტების და საბანკო მომსახურების პირობებს, მათ აღწერილობას და მხარეთა უფლება-მოვალეობებს აღნიშნული პროდუქტების და მომსახურების სარგებლობის პროცესში.

1.2. ბანკსა და კლიენტს შორის ურთიერთობები რეგულირდება ხელშეკრულებით (შემდგომში "ხელშეკრულება"), რომელიც შედგება:

1.2.1. კლიენტის მიერ შევსებული ან/და მხარეთა მიერ ხელმოწერილი განაცხად(ებ)ისგან (შემდგომში - "განაცხადი");

1.2.2. წინამდებარე პირობებისაგან;

1.2.3. ბანკის მიერ დადგენილი ტარიფებისაგან (შემდგომში "ტარიფები");

1.2.4. eMoney ელექტრონული საფულით მომსახურების პირობებისაგან; და

1.2.5. ნებისმიერი დამატებითი დანართისგან ან/და განაცხად(ებ)ისაგან (ასეთის არსებობის შემთხვევაში), რომელიც შეეხება არსებულ ან/და ბანკის მიერ მომავალში შეთავაზებულ საცალო საბანკო მომსახურებასა თუ პროდუქტს (შემდგომში - "პროდუქტები/პროდუქტი") და რომელიც საჭირო იქნება კლიენტის მიერ დამატებითი და/ან წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული საბანკო მომსახურებ(ებ)ით სარგებლობისათვის. ასეთ შემთხვევაში ყოველი დამატებითი პროდუქტის პირობების ჩამოყალიბება/მომსახურების ჩართვა მოხდება შესაბამისი განაცხად(ებ)ის შევსების ან/და შესაბამისი დანართ(ებ)ის კლიენტისთვის მიწოდების საფუძველზე. ამასთანავე, იმ შემთხვევაში თუ ბანკი კლიენტს არ გადასცემს შესაბამის დანართს, ბანკი ახალი სახის საბანკო მომსახურებას გაუწევს კლიენტს იმ დროისათვის ბანკში არსებული შესაბამისი წესებით და პირობებით. კლიენტის მიერ ახალი პროდუქტით სარგებლობის შემთხვევაში იგულისხმება, რომ იგი

ეთანხმება იმ დროისათვის ბანკში არსებულ შესაბამისი მომსახურების პირობებს;

1.3. წინამდებარე პირობებით გათვალისწინებული მომსახურების მიღების მიზნით კლიენტი ვალდებულია:

1.3.1. ყველა სახის მომსახურების და პროდუქტის გამოყენებისთვის გაეცნოს წინამდებარე პირობებს;

1.3.2. სრულად შეავსოს და ხელი მოაწეროს სათანადო განაცხადს, რითაც იმავდროულად ადასტურებს, და გარანტიას იძლევა, რომ: განაცხადი შეავსო სრულად; მის მიერ განაცხადში შევსებული ინფორმაცია არის სწორი და უტყუარი; განაცხადის ხელმოწერამდე სრულად გაეცნო წინამდებარე ლიბერთი ანგარიშის მომსახურების პირობებსა და ტარიფებს;

1.3.3. წარმოადგინოს განაცხადში მითითებული პირადობის დამადასტურებელი საბუთი.

1.4. ბანკის მიერ კლიენტისთვის შეთავაზებული პროდუქტები ან/და მომსახურების ჩამონათვალი მოცემულია, მაგრამ არ შემოიფარგლება წინამდებარე პუნქტით, ამასთან კლიენტის მიერ აღნიშნული მომსახურება ან/და პროდუქტები შესაძლებელია მიღებულ იქნას, როგორც პაკეტ(ებ)ში ბანკის მიერ დადგენილი სტანდარტული ან კლიენტის მიერ შერჩეული კომბინაციებით, ისე ცალკეული მომსახურების ან/და საბანკო პროდუქტის შექმნის გზით ბანკის მიერ დადგენილი წესების შესაბამისად:

1.4.1. ლიბერთი ანგარიშის გახსნა;

1.4.2. ლიბერთი ქარდი/Liberty Card;

1.4.3. სმს-ბანკი;

1.4.4. ინტერნეტ ბანკი;

1.4.5. ავტომატური გადარიცხვები/Standing Order;

1.4.6. ავტომატური გადახდები/Direct Debit;

1.4.7. ყოველთვიური ამონაწერის მიწოდება;

1.4.8. ლიბერთი ქარდი მიკრო ჩიპით (EMV);

1.4.9. ფასდაკლების ქსელი;

1.4.10. VISA P2P საბარათე გადარიცხვები;

1.4.11. უკონტაქტო ვიზა ლიბერთი ქარდი/ Liberty Card VISA paywave;

1.4.12. Priority Traveller (ფრაიორითი თრეველერ);

1.4.13. Priority Pass (ფრაიორითი ფას);

1.4.14. სიმ ბარათი როუმინგის ფუნქციით;

- 1.4.15. ვალუტის გადაცვლა;
  - 1.4.16. Sმარტივი;
  - 1.4.17. ანაბარი პატრიოტი;
  - 1.4.18. eMoney ელექტრონული საფულე;
  - 1.4.19. Gift Card (სასაჩუქრე ბარათი)
  - 1.4.20. Unicard-ის ქულების დაგროვება.
- 1.5. თუ კლიენტს არ გააჩნია 1.4 პუნქტში ჩამოთვლილთაგან რომელიმე პროდუქტით ან/და მომსახურებით სარგებლობის უფლება, მას არ შეეხება პირობებში ამ პროდუქტის აღმწერი შესაბამისი პუნქტები. ეს პუნქტები კლიენტისათვის ამოქმედდება პროდუქტით ან/და მომსახურებით სარგებლობის უფლების მინიჭების შემდეგ.
- 1.6. კლიენტის მიერ აღნიშნულ პირობებში აღწერილი რომელიმე პროდუქტის ან/და მომსახურების (ან მისი ნაწილის) ბანკის თანხმობით გამოყენება განიხილება როგორც კლიენტის თანხმობა წინამდებარე პირობების შესაბამისად აღნიშნული პროდუქტით სარგებლობის პირობებზე.
- 1.7. ბანკი უფლებამოსილია შეცვალოს საბანკო მომსახურების ან/და პროდუქტების რაოდენობა ან/და სახეები, რის შესახებაც კლიენტს ეცნობება ბანკის საინფორმაციო მასალების საშუალებით, ხოლო მათი გამოყენება შესაძლებელი იქნება ბანკში დადგენილი პროცედურების დაცვით.

1.8. ბანკი იტოვებს უფლებას ნებისმიერ დროს ცალმხრივად შეცვალოს წინამდებარე პირობებში გათვალისწინებული წესები ან/და ხელშეკრულების სხვა შემადგენელ დოკუმენტებში მოყვანილი წესები, პირობები ან/და ტარიფები იმისათვის, რომ იგი შესაბამისობაში მოვიდეს ბანკში დადგენილ ახალ წესებთან, შეცვლილ საბაზრო პირობებთან, საბანკო პრაქტიკასთან ან/და შესაბამის კანონმდებლობასთან.

1.9. ბანკი იტოვებს უფლებას, უარი განუცხადოს კლიენტს მომსახურების გაწევაზე, თუ კლიენტმა სათანადო წესით არ შეავსო, ხელი არ მოაწერა ან ბანკს არ წარუდგინა ბანკის მიერ მოთხოვნილი რომელიმე დოკუმენტი ბანკისათვის მისაღები ფორმით და შინაარსით.

1.10. ბანკი დაიწყებს კლიენტის მომსახურებას კლიენტის მიერ შესაბამისი განაცხადის შევსებისა და ბანკის მიერ მოთხოვნილი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ. ამასთან, ბანკს უფლება აქვს, ერთპიროვნულად, საკუთარი შეხედულებისამებრ არ მიიღოს განაცხადი და უარი განუცხადოს კლიენტს მომსახურების გაწევაზე, მიზეზის გაცხადების გარეშე.

1.11. ბანკს უფლება აქვს შეამოწმოს კლიენტის მიერ მისთვის მიწოდებული ან/და კლიენტის შესახებ ნებისმიერი სხვა გზით მოპოვებული ინფორმაცია, რაზედაც კლიენტი აცხადებს ერთმნიშვნელოვან და უპირობო თანხმობას.

## 2. გამოყენებული ტერმინები

<b>ბანკი</b>	სს “ლიბერტი ბანკი”, რეგისტრაციის თარიღი: 27 მარტი, 1995 წელი, საიდენტიფიკაციო კოდი: 203828304, საბანკო ლიცენზია: #0110247, იურიდიული მისამართი: საქართველო, თბილისი 0162, ი. ჭავჭავაძის 74; ტელ: 2 55 55 00; ფაქსი: 2 55 55 04; ელ-ფოსტა: <a href="mailto:info@libertybank.ge">info@libertybank.ge</a> ;
<b>კლიენტი</b>	პირი, რომლის სახელი, გვარი და საიდენტიფიკაციო მონაცემები მოცემულია განაცხადში, რომლის სახელზეც, ბანკის თანხმობით, იხსნება ლიბერტი ანგარიში და რომელიც განაცხადის საფუძველზე სარგებლობს წინამდებარე პირობებით განსაზღვრული მომსახურებით/პროდუქტებით;
<b>მხარე/მხარეები</b>	ბანკი ან/და კლიენტი ან/და დამატებითი ბარათის მფლობელ(ებ)ი კონტექსტის შესაბამისად;
<b>ლიბერტი ანგარიში,</b>	ფიზიკური პირის ანგარიში, რომელშიც გაერთიანებულია

**მულტისავალუტო ანგარიში**

რამდენიმე სხვადასხვა ვალუტის საბანკო ქვე-ანგარიში, რომელზეც ცალ-ცალკე აღირიცხება თითოეული ვალუტის ნაშთები და რომელიც საბარათე-საპროცესინგო სისტემის მეშვეობით მიბმულია ერთ ძირითად საბანკო ბარათზე;

**პროდუქტი**

ბანკის მიერ წინამდებარე პირობების დანართის თანახმად შეთავაზებული საცალო საბანკო პროდუქტი ან/და მომსახურება;

**ანგარიშის ძირითადი ვალუტა**

მულტისავალუტო ანგარიშის უმაღლესი პრიორიტეტის მქონე ქვე-ანგარიშის ვალუტა;

**ვალუტების პრიორიტეტულობა**

ვალუტის პრიორიტეტულობა განსაზღვრავს იმ რიგითობას, რომლის მიხედვითაც ბანკი (გახარჯვის სქემის გათვალისწინებით) მოახდენს კლიენტის მულტისავალუტო ანგარიშის საბანკო ანგარიშებიდან თანხების ჩამოწერას შესაბამისი ოპერაციის განსახორციელებლად;

**გახარჯვის სქემა**

ლიბერთი ანგარიშიდან თანხის გახარჯვის სქემა, მოიცავს ორ ოფციას:

ნაშთის პრიორიტეტი - თუ ოპერაციის შესრულებისთვის კლიენტს შესაბამისი ვალუტის მქონე ქვე-ანგარიშზე (რომელიც მულტისავალუტო ანგარიშის შემავალი ნაწილია) არ გააჩნია საკმარისი დადებითი ნაშთი, ამ ქვე-ანგარიშზე ხდება კონვერტაცი(ებ)ით მულტისავალუტო ანგარიშში შემავალი სხვა ქვე-ანგარიშ(ებ)იდან თანხის შეგროვება. თანხის შეგროვებისას გაითვალისწინება ქვე-ანგარიშების პრიორიტეტულობა, ანუ პირველ რიგში თანხის კონვერტაცია ხდება უფრო მაღალი პრიორიტეტის მქონე ქვე-ანგარიშიდან.

ოვერდრაფტის პრიორიტეტი - თუ ოპერაციის შესრულებისთვის კლიენტს შესაბამისი ვალუტის მქონე ქვე-ანგარიშზე (რომელიც მულტისავალუტო ანგარიშის შემავალი ნაწილია) არ გააჩნია საკმარისი ხელმისაწვდომი ნაშთი, ამ ქვე-ანგარიშზე ხდება კონვერტაცი(ებ)ით მულტისავალუტო ანგარიშში შემავალი სხვა ქვე-ანგარიშ(ებ)იდან თანხის შეგროვება, ხელმისაწვდომი ნაშთების გათვალისწინებით. თანხის შეგროვებისას გაითვალისწინება ქვე-ანგარიშების პრიორიტეტულობა, ანუ პირველ რიგში თანხის კონვერტაცია ხდება უფრო მაღალი პრიორიტეტის მქონე ქვე-ანგარიშიდან.

ოპერაციის ვალუტაში კლიენტის ანგარიშზე არასაკმარისი ნაშთის არსებობისას ან ნაშთის არარსებობისას, ოპერაციის თანხა ჩამოიჭრება ან სხვა ვალუტის ანგარიშებზე არსებული ნაშთებიდან (ნაშთების პრიორიტეტი) ან ოპერაციის ვალუტაში არსებული ოვერდრაფტიდან (ოვერდრაფტის პრიორიტეტი) კლიენტის არჩევანის შესაბამისად. პრიორიტეტი ფიქსირდება განაცხადში;

**ქართული ლარი ან ლარი ან GEL**

საქართველოს ოფიციალური ფულის ერთეული

**აშშ დოლარი ან USD ან US\$**

ამერიკის შეერთებული შტატების ოფიციალური ფულის ერთეული;



**ევრო ან Euro ან EUR**

ევროკავშირის ზოგიერთი წევრი ქვეყნის, აგრეთვე მონტენეგროს, ანდორას, მონაკოს, სან მარინოს, ვატიკანის და კოსოვოს ოფიციალური ფულის ერთეული;

**გირვანქა სტერლინგი ან GBP**

დიდი ბრიტანეთის და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს ოფიციალური ფულის ერთეული;

**ამონაწერი**

ბანკში დადგენილი ფორმით შედგენილი ინფორმაცია, კლიენტის ლიბერთი ანგარიშზე განხორციელებული ოპერაციებისა და ნაშთების შესახებ;

**ბარათი**

ბანკის მიერ ემიტირებული ძირითადი ან/და დამატებითი საერთაშორისო საბანკო ბარათი (VISA, MasterCard), საგადამხდელო საშუალება, რომელიც დაკავშირებულია კლიენტის ლიბერთი ანგარიშთან და რომელსაც კლიენტი იყენებს წინამდებარე პირობებით ბანკში შესაბამისი დროისთვის მოქმედი ბარათების გამოყენების ზოგადი წესების მიხედვით; ანგარიშის ძირითადი ვალუტა შესაძლოა განისაზღვროს შემდეგი ვალუტებით: ლარი, აშშ დოლარი, ევრო ან გირვანქა სტერლინგი, თუ რაიმე სხვა არ არის შეთანხმებული ბანკსა და კლიენტს შორის დადებული ხელშეკრულებით;

**ძირითადი ბარათი**

ბარათი, რომელსაც ბანკი გასცემს უშუალოდ კლიენტზე და რომელიც დაკავშირებულია კლიენტის ლიბერთი ანგარიშთან;

**დამატებითი ბარათი**

ბარათი, რომელსაც ბანკი გასცემს კლიენტზე ან/და კლიენტის მიერ დასახელებულ სხვა პირზე (დამატებითი ბარათის მფლობელი); დამატებითი ბარათი, მიუხედავად თავისი მფლობელისა არის დაკავშირებული კლიენტის ლიბერთი ანგარიშთან;

**დამატებითი ბარათის მფლობელი**

პირი, რომლის სახელზეც, კლიენტის მოთხოვნით, არის გაცემული დამატებითი ბარათი.

**დავალება**

ნებისმიერი მოთხოვნა ან დავალება, რომელსაც კლიენტი აძლევს ბანკს უშუალოდ ან/და დისტანციური საბანკო მომსახურების გამოყენებით, წვდომის კოდ(ებ)ის საშუალებით ბანკში გამოგზავნის გზით, წინამდებარე პირობების შესაბამისად;

**ოპერაცია**

კლიენტის მიერ განხორციელებული ნებისმიერი გადახდა ან განაღდება საბანკო ბარათის, ბარათის ნომრის, PIN-ის ან სხვა საშუალების, წვდომის კოდის თუ კოდების ერთობლიობის გამოყენებით;

**დისტანციური საბანკო მომსახურება**

საბანკო მომსახურება, რომლის გამოყენებითაც კლიენტს ეძლევა საშუალება აწარმოოს საბანკო ოპერაციები ან მიიღოს მის ანგარიშთან დაკავშირებული ინფორმაცია ბანკში მიუსვლელად;

**ფრაიორითი თრეველერი ან Priority Traveller**

არასაბანკო პლასტიკური ბარათი, განკუთვნილი მათთვის, ვისაც ხშირად უწევს საზღვარგარეთ მოგზაურობა, რომელიც ბარათის მფლობელს აძლევს წვდომას გარკვეულ მომსახურებებსა და პრივილეგიებზე "ფრაიორითი თრეველერ გრუფ-ის" პარტნიორ მომსახურების ობიექტებში. მომსახურების დეტალები მოცემულია ვებ-გვერდზე [www.prioritytraveller.com](http://www.prioritytraveller.com);

<b>საბანკო დღე</b>	დღე (შაბათის ან კვირის გარდა), რომელიც საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით ითვლება სამუშაო დღედ საქართველოში მოქმედი კომერციული ბანკებისთვის;
<b>წვდომის კოდები</b>	ბარათის PIN კოდები, პაროლები, მომხმარებლის სახელი ან/და ნებისმიერი სხვა სახის კონფიდენციალური ინფორმაცია, რომელიც ბანკმა შეიძლება კლიენტს მიაწოდოს სხვადასხვა საბანკო მომსახურებებთან უსაფრთხო წვდომისა და სარგებლობისთვის;
<b>ბანკომატიდან თანხის განაღდებას ლიმიტი</b> <b>მომსახურე ობიექტი</b>	ბანკომატიდან გარკვეული პერიოდის განმავლობაში (24 საათი) გასანაღდებელი თანხის მაქსიმალური ოდენობა; ბანკის მიერ შერჩეული მომსახურების და სავაჭრო ობიექტები(მათ შორის ფასდაკლების ქსელში შემავალი ობიექტები);
<b>ხარჯვის ლიმიტი</b>	ბარათიდან გარკვეული პერიოდის განმავლობაში თანხის ხარჯვის (რაც ასევე მოიცავს ბანკომატიდან თანხის განაღდებას ლიმიტს) მაქსიმალური ოდენობა;
<b>ოვერდრაფტი</b>	ბანკის თანხმობით კლიენტის ლიბერთი ანგარიშში შემავალ ერთ ან რამდენიმე ანგარიშზე დაშვებული მოკლევადიანი კრედიტი;
<b>თანხის გადახარჯვა (ოვერლიმიტი)</b>	კლიენტის ლიბერთი ანგარიშში შემავალ ერთ ან რამდენიმე ანგარიშზე წარმოშობილი სადებეტო ნაშთ(ებ)ი, რომელიც წარმოიშვა ბანკის წინასწარი თანხმობის გარეშე;
<b>ადმინისტრატორი</b>	ფრაიორითი თრეველერ გრუპი (Priority Traveller Group) - კომპანია, რომელიც წინამდებარე ხელშეკრულების მიზნებისთვის ახორციელებს კლიენტის მომსახურებას ფრაიორითი თრეველერ (Priority Traveller) და ფრაიორითი ფასის (Priority Pass) პროდუქტების მიხედვით საკუთარი წესების და წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე;
<b>პაკეტი</b>	ბანკის მიერ დადგენილი პროდუქტების ერთობლიობა, რაც გულისხმობს ერთდროულად რამდენიმე საბანკო პროდუქტით ან/და მომსახურებით შეღავათიანი ტარიფებით (მათი საცალო გაყიდვის ფასთან შედარებით) სარგებლობის უფლების მოპოვებას ფიქსირებული საკომისიოს გადახდის სანაცვლოდ;
<b>საბაზისო პაკეტი</b>	ბანკის მიერ დადგენილი იმ ძირითადი მინიმალური საბანკო პროდუქტების ერთობლიობა, რომლითაც კლიენტი სარგებლობს ბანკში ლიბერთი ანგარიშის გახსნისთანავე და შესაძლოა ბანკის ერთპიროვნული გადაწყვეტილებით პერიოდულად შეიცვალოს. საბაზისო პაკეტში შემავალი საბანკო პროდუქტების ჩამონათვალი განისაზღვრება წინამდებარე პირობების დანართი #1-ით;
<b>დამატებითი პაკეტი</b>	ბანკის მიერ დადგენილი საბანკო პროდუქტების ერთობლიობა, რომლითაც კლიენტი სარგებლობს ბანკში საბაზისო პაკეტის შემენისას ან მოგვიანებით ნებისმიერ დროს და შესაძლოა ბანკის ერთპიროვნული გადაწყვეტილებით პერიოდულად შეიცვალოს. დამატებით პაკეტ(ებ)ში შემავალი საბანკო პროდუქტების ჩამონათვალი განისაზღვრება წინამდებარე პირობების დანართი #1-ით;

**VISA P2P სერვისი ან P2P**

**უფლებამოსილი მფლობელი**

**ფრაიორითი ფასი ან Priority Pass**

**eMoney**

**eMoney ელექტრონული საფულე**

VISA-ს საერთაშორისო საგადასახდელი სისტემაში ჩართული ერთი საბანკო ბარათიდან მეორე საბანკო ბარათზე თანხის როგორც საქართველოს ტერიტორიაზე, ისე საზღვარგარეთ გადარიცხვის შესაძლებლობა ბანკომატის მეშვეობით;

კლიენტი, დამატებითი ბარათის მფლობელ(ებ)ი ან/და მისი/მათი უფლებამოსილი წარმომადგენელ(ებ)ი;

არასაბანკო ბარათი, რომელიც მის მფლობელს აწევრიანებს დამოუკიდებელ კლუბში, რომელიც თავის წევრებს სთავაზობს მსოფლიოს მასშტაბით 600-ზე მეტ საერთაშორისო აეროპორტში ვიპ მომსახურების დარბაზებით შეღავათიანი ტარიფებით სარგებლობის შესაძლებლობას. მომსახურების დეტალები მოცემულია ვებ-გვერდზე [www.prioritypass.com](http://www.prioritypass.com);

კონტექსტიდან გამომდინარე შპს "ახალი ფინანსური ტექნოლოგიები აფტ" (ს/კ 202376026) და შპს "იმანი" (ს/კ 204557540) ცალ-ცალკე ან ერთობლივად, რომლებიც ახორციელებენ eMoney ელექტრონული საფულით მომსახურებას;

ფიზიკური პირის ელექტრონული ანგარიში რომელიც წარმოადგენს რეგისტრირებულ ელექტრონულ ანგარიშს და მისი მოხმარების წესი რეგულირდება eMoney ელექტრონული საფულით მომსახურების პირობებით.

**3. კლიენტის განცხადებები**

3.1. კლიენტი წინამდებარე პირობებით გათვალისწინებულ განაცხადზე ხელმოწერით ან/და პირობებით გათვალისწინებული მომსახურებით სარგებლობით აცხადებს თანხმობას, რომ:

3.1.1. კლიენტს აქვს სრული უფლებამოსილება (ან მიიღებს შესაბამის უფლებამოსილებას), იმისათვის, რომ ხელი მოაწეროს და შეასრულოს ამ ხელშეკრულებით ან ნებისმიერი სხვა ხელშეკრულებ(ებ)ით და განაცხადებით გათვალისწინებული ვალდებულებები;

3.1.2. კლიენტის მიერ ბანკისთვის განაცხადის სახით ან სხვა რაიმე ფორმით წარდგენილი ინფორმაცია ზუსტი, უტყუარი და სრულია;

3.1.3. წინამდებარე პირობებით გათვალისწინებული ოპერაცი(ებ)ის შესრულებით არ დაირღვევა სხვა ხელშეკრულებ(ებ)ის პირობები ან კლიენტის სხვა ვალდებულებ(ებ)ი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ან რაიმე სახის კანონი, დებულება, წესი, განკარგულება, სასამართლო გადაწყვეტილება, ბრძანება, მითითება, სასამართლო დადგენილება ან სახელმწიფოს, სახელმწიფო ან მარეგულირებელი

ორგანოს, სასამართლო ან საარბიტრაჟო ორგანოს მიერ დაწესებული რაიმე შეზღუდვა, რომლის დაცვაზეც პასუხისმგებელია კლიენტი. ამ ხელშეკრულების პირობებით განსაზღვრული ოპერაციის შესრულება არ მოვა წინააღმდეგობაში ან არ დაარღვევს რაიმე სახის ხელშეკრულებას, კონტრაქტს, ლიცენზიას ან სხვა სახის შეთანხმებას, რომლის მხარესაც წარმოადგენს კლიენტი;

3.1.4. კლიენტი არ მონაწილეობს ან მას არ ემუქრება ისეთი სასამართლო პროცესი, რომელმაც შედეგად შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს მის ფინანსურ მდგომარეობასა ან საქმიანობაზე;

3.1.5. კლიენტი არ არის ჩაბმული ან არ მონაწილეობს არცერთი ქვეყნის კანონმდებლობით გათვალისწინებულ რაიმე სახის უკანონო საქმიანობაში (მათ შორის ფულის გათეთრებაში, იარაღით ვაჭრობაში, ტერორიზმსა ან სხვა სახის უკანონო საქმიანობაში).

3.2. აღნიშნული განცხადებები ძალაშია ამ ხელშეკრულების მთელი ვადის განმავლობაში.



3.3. კლიენტი ყველანაირი საშუალებით უზრუნველყოფს, რომ მასთან დაკავშირებულმა პირებმა (რაც ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე მოიცავს დამატებითი ბარათის მფლობელ(ებ)ს) ამ ხელშეკრულების მთლიანი ვადის განმავლობაში არ განახორციელონ ისეთი ქმედება, რომელიც გამოიწვევს აქ მოყვანილი გარანტიების დარღვევას.

3.4. ამ ხელშეკრულების ძალაში შესვლის შემდეგ კლიენტი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს ბანკს ისეთი გარემოებების შესახებ, რომლებმაც შეიძლება გამოიწვიოს ამ ხელშეკრულებაში მოცემული გარანტიების დარღვევა ან წინააღმდეგობაში მოვიდეს აღნიშნულ განცხადებებთან.

3.5. აღნიშნული განცხადებების დარღვევის შემთხვევაში (რითაც არ იზღუდება ბანკის უფლება

მოითხოვოს ზიანის ანზღაურება, რომელიც გამოწვეული იქნება გარანტიების ამგვარი დარღვევით), თუ კლიენტი ვერ შეძლებს ამ დარღვევის აღმოფხვრას დარღვევის შესახებ შეტყობინების მიღებიდან 10 (ათი) საბანკო დღის განმავლობაში, კლიენტი თანახმაა ბანკს აუნაზღაუროს და დაიცვას ბანკი ნებისმიერი ზარალისგან (რაც ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე მოიცავს შედეგობრივ ზარალს), საჩივრისგან, ხარჯისგან (რაც ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე მოიცავს იმ ხარჯებს, რომლებსაც ბანკი გაიღებს საკუთარი უფლებების განსახორციელებლად), იურიდიული პროცესისგან და ნებისმიერი სხვა ვალდებულებისგან, რომელიც ამგვარი დარღვევის შედეგად შეიძლება წარმოიშვას.

## ნაწილი II

### 4. ლიბერთი ანგარიში

4.1. ლიბერთი ანგარიში არის: ფიზიკური პირის ანგარიში, რომელშიც გაერთიანებულია რამდენიმე სხვადასხვა ვალუტის საბანკო ქვეანგარიში, რომელზეც ცალ-ცალკე აღირიცხება თითოეული ვალუტის ნაშთები და რომელიც საბარათე-საპროცესინგო სისტემის მეშვეობით მიმბეჭდულია ერთ ძირითად საბანკო ბარათზე. ლიბერთი ანგარიში გაეხსნება კლიენტს განაცხადის შევსების, სათანადო დოკუმენტაციის წარმოდგენისა და შესაბამისი საკომისიოს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გადახდის შემდეგ.

4.2. კლიენტს უფლება აქვს:

4.2.1. ბანკის თანხმობის შემთხვევაში ჰქონდეს რამდენიმე ლიბერთი ანგარიში;

4.2.2. მისცეს ბანკს დავალებები ლიბერთი ანგარიშზე ოპერაციების საწარმოებლად კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში;

4.2.3. განაცხადით განსაზღვროს ანგარიშის ძირითადი ვალუტა, ვალუტების პრიორიტეტი და გახარჯვის სქემა;

4.2.4. შეცვალოს ლიბერთი ანგარიშის ძირითადი ვალუტა, ვალუტების პრიორიტეტი ან გახარჯვის სქემა, რისთვისაც ბანკს გადაუხდის შესაბამის საკომისიოს. ანგარიშის ძირითადი ვალუტა

შესაძლოა განისაღვროს შემდეგი ვალუტებით: ლარი, აშშ დოლარი, ევრო ან გირვანქა სტერლინგი, თუ რაიმე სხვა არ არის შეთანხმებული ბანკსა და კლიენტს შორის დადებული ხელშეკრულებით;

4.2.5. წაუყენოს ბანკს პრეტენზიები ანგარიშიდან ამონაწერის მიღებიდან 7 (შვიდი) კალენდარული დღის განმავლობაში. აღნიშნულ ვადაში კლიენტის მხრიდან პრეტენზიის მიუღებლობის შემთხვევაში, ამონაწერში არსებული ინფორმაციის სისწორე ითვლება დადასტურებულად კლიენტის მიერ.

4.2.6. შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება ბანკისთვის წერილობითი შეტყობინების გაგზავნის გზით.

4.3. კლიენტი ვალდებულია:

4.3.1. ლიბერთი ანგარიშზე ამონაწერის მიღებიდან 1 (ერთი) საბანკო დღის ვადაში შეატყობინოს ბანკს შეცდომით ჩარიცხული თანხის შესახებ და დაუბრუნოს ბანკს შეცდომით ჩარიცხული თანხა, წინააღმდეგ შემთხვევაში ბანკის მოთხოვნით გადაუხადოს ბანკს ჯარიმა გამოყენებული თანხის 0.5%-ის ოდენობით მისი სარგებლობის ყოველ დღეზე გათვლით;

4.3.2. პასუხი აგოს განაცხადის შევსების სისწორეზე და მასში მითითებული ინფორმაციის ყველა ცვლილება დაუყოვნებლივ წერილობით შეატყობინოს ბანკს;

4.3.3. ბანკში მოქმედი ტარიფების შესაბამისად გადაიხადოს საბანკო ოპერაციების წარმოებისათვის, ასევე, ანგარიშის მომსახურებისათვის ბანკში დადგენილი ყველა საკომისიო გადასახადი;

4.3.4. გადაუხადოს ბანკს ანგარიშზე არსებული ოვერდრაფტის (მათ შორის ოვერლიმიტის) სრული თანხა და საკომისიო ბანკში მოქმედი ტარიფების შესაბამისად;

4.3.5. კლიენტი ვალდებულია არ გამოიყენოს საბანკო მომსახურება, თუ ამას შედეგად მოჰყვება მისი ანგარიშის გადახარჯვა ბანკის წინასწარი თანხმობის გარეშე ან თუ მოხდება ხარჯვის შეთანხმებული ლიმიტის გადაჭარბება.

4.4. ბანკს უფლება აქვს:

4.4.1. დროებით გამოიყენოს კლიენტის ანგარიშზე არსებული ფულადი სახსრები საკრედიტო რესურსების სახით;

4.4.2. კლიენტის მიერ ხელშეკრულებით ან/და ბანკთან არსებული სხვა ნებისმიერი ხელშეკრულებ(ებ)ით (მათ შორის ერთმნიშვნელოვნად საკრედიტო ან/და უზრუნველყოფის ხელშეკრულებ(ებ)ით) ნაკისრი ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში დაბლოკოს კლიენტის ანგარიში;

4.4.3. გადაახდევინოს კლიენტს ჯარიმა შეცდომით ჩარიცხული თანხის ან მისი ნაწილის გამოყენებისათვის 4.3.1 პუნქტში მითითებული ოდენობით;

4.4.4. კლიენტის ბანკში არსებული ნებისმიერი ანგარიშიდან უაქცეპტოდ ჩამოწეროს ყველა გადასახდელი/გადასახადი (მათ შორის ერთმნიშვნელოვნად საბანკო ოპერაციების წარმოებისათვის და ანგარიშის მომსახურებისათვის ბანკში დადგენილი საკომისიო მოსაკრებლები, პაკეტის ღირებულება, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული გადასახადები/გადასახდელები, შეცდომით ჩარიცხული თანხები, ზიანის/ზარალის ანაზღაურების თანხები) და მიმართოს ისინი ბანკის ან/და მესამე პირების წინაშე არსებული ვალდებულებების დასაფარად/შესამცირებლად.

4.4.5. თუ ოპერაციის განხორციელების მომენტში გადახდის საწარმოებლად თავისუფალი სახსრები

არ არის საკმარისი, საკუთარი გადაწყვეტილებისამებრ, შეაჩეროს ოპერაცია ან არ გასცეს მასზე ავტორიზაცია;

4.4.6. კლიენტის მხრიდან 1 (ერთი) წლის განმავლობაში ანგარიშის მომსახურების საკომისიოს გადაუხდელობის შემთხვევაში და კლიენტის ანგარიშზე ნაშთის არარსებობისას დახუროს აღნიშნული ანგარიში კლიენტისათვის წინასწარი შეტყობინების გაგზავნის გარეშე;

4.4.7. კლიენტის მხრიდან უკვე დახურული ანგარიშის ხელმეორედ გახსნის/გააქტიურების მოთხოვნის შემთხვევაში, საკუთარი შეხედულებისამებრ, უარი განუცხადოს ამ თხოვნაზე ან შეასრულოს იგი მხოლოდ კლიენტის მხრიდან ბანკისადმი არსებული დავალიანების სრულად დაფარვის შემდეგ;

4.4.8. შეუწვიტოს კლიენტს დისტანციური საბანკო მომსახურება, თუ მას ბანკში აღარ გააჩნია ლიბერთი ანგარიში.

4.5. ბანკი ვალდებულია:

4.5.1. დროულად დააკრედიტოს ანგარიშზე ჩარიცხული თანხები და კუთვნილებისამებრ გადარიცხოს ანგარიშიდან არაუგვიანეს 2 (ორი) საბანკო დღისა;

4.5.2. ჩამოწეროს კლიენტის დავალებით, ხოლო კანონმდებლობით და ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შემთხვევაში დავალების გარეშე, შესაბამისი თანხები კლიენტის ანგარიშიდან მათი კრედიტორების ანგარიშებზე გადასარიცხად;

4.5.3. მიიღოს კლიენტისაგან და მისცეს მას ან გასცეს მისი დავალებით ნაღდი ფული;

4.5.4. კლიენტს ან მის უფლებამოსილ წარმომადგენელს ბანკში არსებული პროცედურების შესაბამისად გადასცეს ანგარიშის ამონაწერი ბანკში მოქმედი ტარიფებით განსაზღვრული საკომისიო მოსაკრებლის საფასურად.

4.6. ანგარიშ(ებ)ზე განხორციელებული ოპერაციები:

4.6.1. კლიენტი უფლებამოსილებას ანიჭებს ბანკს მიიღოს და იმოქმედოს მისი დავალებების შესაბამისად, რომელსაც კლიენტი ბანკს მიაწოდებს წერილობით, ელექტრონული საშუალებით ან ბანკისთვის მისაღები სხვა ფორმით. იმ



შემთხვევაში, როდესაც კლიენტის დავალებები წერილობითი ფორმით არ არის განხორციელებული, კერძოდ, კლიენტის მიერ არ არის ხელმოწერილი, ბანკს აქვს უფლება მიიღოს და განახორციელოს ისინი, თუ დაცულია ბანკში დაწესებული უსაფრთხოების პროცედურა;

4.6.2. კლიენტს მუდმივად უნდა ჰქონდეს თავისუფალი სახსრები (რაც ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე გულისხმობს დაშვებული ოვერდრაფტის თანხას) ანგარიშზე სანამ:

4.6.2.1. სარგებლობს მუდმივი საგადასახადო დავალებისა ან/და ავტომატური გადახდების მომსახურებით;

4.6.2.2. კლიენტი ახორციელებს ოპერაციას დისტანციური საბანკო მომსახურების (მათ შორის პლასტიკური ბარათით) საშუალებით;

4.6.2.3. ვადა უწევს ნებისმიერი სხვა ოპერაციის განხორციელებას, რომლის თანხებიც ჯერ არ არის ანგარიშიდან ჩამოჭრილი;

4.6.2.4. ბანკომატით განხორციელებული გადახდების შესაბამისი თანხების ჩამოწერა ანგარიშ(ებ)იდან ვერ დაიწყება ოპერაციის მომდევნო საბანკო დღემდე;

4.6.3. კლიენტი პასუხისმგებელია ყველა ოპერაციაზე, რომელიც განხორციელდა ანგარიშზე როგორც მის დახურვამდე ასევე მისი დახურვის შემდეგ.

4.7. უარი ფულადი შენატანის მიღებაზე

4.7.1. ბანკი უფლებამოსილია, საკუთარი გადაწყვეტილებით ან/და კანონმდებლობით გათვალისწინებული საფუძვლების არსებობისას არ მიიღოს ანგარიშზე შენატანი ან/და მოსთხოვოს კლიენტს ანგარიშის დახურვა.

4.8. ანგარიშის დახურვა

4.8.1. თუ ბანკი თვლის, რომ კლიენტმა ანგარიში უნდა დახუროს, კლიენტს გაეგზავნება წერილობითი თხოვნა, რომელშიც მითითებული იქნება პერიოდი, რომლის განმავლობაშიც კლიენტს მოეთხოვება ანგარიშის დახურვა. თუ აღნიშნული პერიოდის გასვლის შემდეგ კლიენტი არ დახურავს ანგარიშს, ბანკს უფლება აქვს აღარ მიიღოს გადახდები ანგარიშზე (ისეთი გადახდების გარდა, რომლებიც აუცილებელია ანგარიშზე რიცხული დავალიანების დასაფარად) და დაუბრუნოს კლიენტს ანგარიშზე რიცხული ნაშთი.

## 5. LIBERTY CARD

5.1. წინამდებარე პუნქტში მოცემული ბარათის მოხმარების პირობები ვრცელდება კლიენტზე და კლიენტის მოთხოვნის შესაბამისად დამატებითი ბარათის მფლობელ(ებ)ზე გაცემულ ყველა სახის ბარათზე.

5.2. ბარათის გამოყენება რეგულირდება საბანკო კანონმდებლობით და ბანკსა და საერთაშორისო საგადასხდელ სისტემებს VISA International და MasterCard Europe-ს შორის სალიცენზიო ხელშეკრულებების პირობებით.

5.3. ბარათის მისაღებად კლიენტმა ბანკს უნდა წარუდგინოს სათანადოდ შევსებული და დამოწმებული განაცხადი.

5.4. ბარათ(ებ)ს ბანკი ამზადებს კლიენტის მიერ შევსებული განაცხადის საფუძველზე და მის შესაბამისად და გადასცემს კლიენტს სარგებლობაში (დალუქულ კონვერტში მოთავსებულ PIN-წვდომის კოდთან ერთად) ანგარიშ(ებ)იდან ოპერაციების საწარმოებლად. ბარათი წარმოადგენს ბანკის საკუთრებას.

5.5. კლიენტს შეუძლია ბანკისგან მოითხოვოს ნებისმიერი მესამე პირისათვის დამატებითი ბარათ(ებ)ის და მათი შესაბამისი წვდომის კოდების გაცემა. დამატებითი ბარათის გაცემაზე ბანკის თანხმობის შემთხვევაში, კლიენტი ვალდებულია გააცნოს დამატებითი ბარათის მფლობელს აღნიშნული პირობები. ამასთან, კლიენტი ვალდებულია, გადაიხადოს დამატებითი ბარათის და წვდომის კოდების გამოყენებით განხორციელებული ოპერაციების საფასური და სხვა შესაბამისი ხარჯები. აღნიშნული ოპერაციის ხარჯები მოიცავს ანგარიშიდან ჩამოწერილ თანხებს დამატებითი ბარათის ბანკისთვის დაბრუნების შემდეგ.

5.6. კლიენტი უფლებამოსილებას ანიჭებს ბანკს, რომ გადასცეს ინფორმაცია მისი კუთვნილი ანგარიშ(ებ)ის შესახებ დამატებითი ბარათის მფლობელ(ებ)ს. ეს ინფორმაცია მოიცავს, ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე, დეტალებს ანგარიშ(ებ)ის შესახებ, აგრეთვე, სხვა სახის ინფორმაციას, რომელიც აუცილებელია დამატებითი ბარათ(ებ)ის სათანადო გამოყენებისთვის.

5.7. ბარათი შეიძლება გამოიყენოს მხოლოდ უფლებამოსილმა მფლობელმა. ნებისმიერი წვდომის კოდ(ებ)ის გადაცემა მესამე პირ(ებ)ისთვის დაუშვებელია.

5.8. ანგარიშზე რიცხული თანხების განკარგვა დასაშვებია ბანკის მიერ დადგენილი ლიმიტის ფარგლებში.

5.9. თუ დისტანციური წვდომის კოდ(ებ)ით განხორციელებული ოპერაციების თარიღი ემთხვევა არასამუშაო დღეს, საბანკო ოპერაცია განხორციელდება მომდევნო სამუშაო დღეს.

5.10. ანგარიშზე ბარათით ან მისი რეკვიზიტების გამოყენებით ვალუტის კონვერტაცია ხორციელდება ოპერაციის საბანკო პროგრამაში ასახვის დღეს არსებული ბანკის კომერციული კურსის შესაბამისად.

5.11. თუ უფლებამოსილი მფლობელი ბარათის დამზადებიდან 2 (ორი) თვის განმავლობაში არ მიაკითხავს ბანკს ბარათის მისაღებად, ბანკი უფლებამოსილია გააუქმოს ბარათი. კლიენტს ბარათის მომსახურების საკომისიო არ უბრუნდება.

5.12. ლიბერთი ბარათის ვადის ამოწურვის შემთხვევაში ბარათი გაუქმდება.

5.13. ბანკი იღებს ვალდებულებას:

5.13.1. დაამზადოს და კლიენტს სარგებლობაში გადასცეს ბარათ(ებ)ი, ბარათის შესახებ განაცხადში მითითებული ინფორმაციის შესაბამისად;

5.13.2. კლიენტის ანგარიშებიდან თანხების ჩამოწერა განახორციელოს განაცხადში კლიენტის მიერ არჩეული გახარჯვის სქემის შესაბამისად;

5.13.3. ბარათის დაკარგვის შესახებ განცხადების მიღების შემდეგ, ბარათის მფლობელის ხარჯზე უზრუნველყოს ბარათის მოთავსება განცხადებაში მითითებულ სტოპ-სიაში;

5.14. კლიენტს უფლება აქვს:

5.14.1. ბარათით ჩაატაროს ოპერაციები ხარჯვის ლიმიტის ფარგლებში.

5.14.2. ყოველი მომდევნო თვის არაუგვიანეს მეათე (10) კალენდარული დღისა ბანკში მიიღოს წინმსწრები თვის ამონაწერი;

5.14.3. გაასაჩივროს მაქსიმუმ 5 (ხუთი) ოპერაცია, რომელიც ჩატარებულია ბარათის გამოყენების გარეშე ნებისმიერი დისტანციური საბანკო მომსახურების მეშვეობით. ბანკის მიერ პრეტენზიები ზემოხსენებული ტიპის ოპერაციებზე

განიხილება მხოლოდ დაკარგული ბარათის განახლების შემთხვევაში;

5.14.4. წერილობით შეატყობინოს ბანკს ბარათის ვადის გასვლის შესახებ და მოითხოვოს ახალი ბარათის დამზადება;

5.15. ბანკს უფლება აქვს:

5.15.1. აუცილებლობის შემთხვევაში, ბარათის მოქმედების ვადის განმავლობაში შეცვალოს ის ახალი ბარათით;

5.15.2. დაბლოკოს ბანკში არსებული კლიენტის სხვა ანგარიშები და მათზე რიცხული თანხები მიმართოს ოვერლიმიტის დასაფარავად წინასწარ შეთანხმებული ვადის გასვლის შემდეგ;

5.15.3. გაუზღავნოს უფლებამოსილ მფლობელს შეტყობინება ბანკისათვის ბარათის დაბრუნების მოთხოვნით, თუ ოპერაციების ჩატარებისას წარმოიშვა საფუძვლიანი ეჭვი, რომ ბარათი გამოიყენება უკანონო ქმედებებისთვის;

5.15.4. ბარათის დაკარგვის შემთხვევაში კლიენტს ანგარიშიდან ჩამოაწეროს (არსებობის შემთხვევაში) ბარათის დაკარგვიდან ბანკში შესაბამისი წერილობითი ან ზეპირი შეტყობინების მოსვლამდე პერიოდში ბარათით ჩატარებული ოპერაციების ექვივალენტი სახსრები;

5.15.5. კლიენტის ან/და დამატებითი ბარათის მფლობელის მიერ ხელშეკრულების დარღვევის, აგრეთვე კლიენტის გადახდისუუნარობის შემთხვევაში შეაჩეროს ან შეწყვიტოს ბარათის მოქმედება და მიიღოს აუცილებელი ზომები ბანკისადმი კლიენტის დავალიანების ამოსაღებად;

5.15.6. შეაჩეროს ბარათის მოქმედება არაკანონიერი ოპერაციების ჩატარების აღმოჩენის, აგრეთვე, VISA International-ისა და MasterCard Europe-ის საგადამხდელო სისტემების მიერ ბარათის არაკანონიერი გამოყენების დამადასტურებელი ინფორმაციის მოწოდებისთანავე;

5.15.7. საკუთარი შეხედულებისამებრ, უარი განუცხადოს კლიენტს ბარათ(ებ)ის გაცემასა და/ან აღდგენაზე;

5.15.8. კლიენტის მიერ ხელშეკრულებით ან/და ბანკთან არსებული სხვა ნებისმიერი ხელშეკრულებ(ებ)ით (მათ შორის ერთმნიშვნელოვნად საკრედიტო ან/და უზრუნველყოფის ხელშეკრულებ(ებ)ით) ნაკისრი ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობის ან/და



არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში დაბლოკოს ნებისმიერი ბარათი;

5.15.9. კლიენტის ბანკში არსებული ნებისმიერი ანგარიშიდან უაქცეპტოდ ჩამოწეროს ყველა გადასახდელი/გადასახადი (მათ შორის ერთმნიშვნელოვნად საბანკო ოპერაციების წარმოებისათვის და ანგარიშის მომსახურებისათვის ბანკში დადგენილი საკომისიო მოსაკრებლები, პაკეტის ღირებულება, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული გადასახადები/გადასახდელები, შეცდომით ჩარიცხული თანხები, ზიანის/ზარალის ანაზღაურების თანხები) და მიმართოს ისინი ბანკის ან/და მესამე პირების წინაშე არსებული ვალდებულებების დასაფარად/შესამცირებლად.

5.15.10. ანგარიშიდან უაქცეპტოდ ჩამოწეროს კლიენტზე გაცემული ყველა ბარათით, მათ შორის დამატებითი ბარათით ჩატარებული, აგრეთვე საგადამხდელო სისტემა VISA International-ის და VISA Europe-ის გავლით ბანკებისა და ორგანიზაციების მიერ წარდგენილი ოპერაციების ექვივალენტი სახსრები ბანკში მოქმედი ტარიფების შესაბამისად გათვალისწინებულ საკომისიო მოსაკრებლებთან ერთად.

5.16. კლიენტი იღებს ვალდებულებებს:

5.16.1. განაცხადის ხელმოწერიდან 1 (ერთი) საბანკო დღის ვადაში ანგარიშ(ებ)ზე ჩარიცხოს თანხები ნაღდი ან უნაღდო ანგარიშსწორებით ბარათის ტიპისათვის ბანკში დადგენილი აუცილებელი შენატანის ოდენობით (ასეთის არსებობისას);

5.16.2. შეამოწმოს PIN კონვერტის მთლიანობა, რომელშიც მოთავსებულია PIN-კოდი;

5.16.3. შეინახოს ბარათის გამოყენებით წარმოებულ ოპერაციებზე არსებული ყველა დოკუმენტი და წარუდგინოს იგი ბანკს სადავო საკითხების წარმოშობისას;

5.16.4. ყოველი კალენდარული თვის ბოლოს გაეცნოს ბარათის მეშვეობით განხორციელებულ ყველა ოპერაციას და საჭიროების შემთხვევაში 7 (შვიდი) კალენდარული დღის განმავლობაში წერილობით გააპროტესტოს ამ ოპერაციების შესახებ ინფორმაცია. ამ ვადაში ბანკისათვის პრეტენზიის წერილობით განუცხადებლობის შემთხვევაში, აღნიშნული ინფორმაცია ითვლება

დადასტურებულად და შემდგომ გაპროტესტებას აღარ ექვემდებარება;

5.16.5. ბარათის დაკარგვის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს ბანკს. ყოველი ზეპირი განაცხადი უნდა დადასტურდეს წერილობით და დამოწმდეს კლიენტის ან მისი უფლებამოსილი პირის ხელმოწერით. წინააღმდეგ შემთხვევაში ბანკი პასუხს არ აგებს იმ ფინანსურ ზიანზე, რომელიც შეიძლება მიადგეს კლიენტს (წერილობითი შეტყობინება ბანკში უნდა შევიდეს ზეპირი განაცხადებიდან ერთი საბანკო დღის განმავლობაში. წერილობით შეტყობინებად შეიძლება ჩაითვალოს ფაქსით მიღებული შეტყობინება). შეტყობინების მიწოდების დაგვიანების შემთხვევაში, ბანკის მიერ ბარათის დაკარგვის შესახებ განაცხადის მიღებამდე მესამე პირ(ებ)ის მიერ ბარათით წარმოებულ ყველა ოპერაციაზე პასუხს აგებს კლიენტი ან/და გარემოებებიდან გამომდინარე დამატებითი ბარათის მფლობელ(ებ)ი;

5.16.6. დაკარგული ბარათის აღმოჩენის შემთხვევაში დაუყოვნებლივ დაუბრუნოს ის ბანკს;

5.16.7. ბანკის მიერ ბარათის ვადის ამოწურვის, გაუქმების ან ხმარებიდან ამოღების შემთხვევაში დააბრუნოს ბარათი შეტყობინებიდან 14 (თოთხმეტი) კალენდარული დღის განმავლობაში;

5.16.8. ბარათით შეძენილი საქონლის უკან დაბრუნების შემთხვევაში, არ მოითხოვოს სავაჭრო წერტილიდან შეძენილი საქონლის ღირებულება ნაღდი ფულის სახით. ანაზღაურება განხორციელდება მხოლოდ უნაღდო ანგარიშსწორებით შესაბამის ანგარიშზე;

5.16.9. ჩაატაროს ბარათით ოპერაციები მოცემული პირობების შესაბამისად;

5.16.10. ბანკში მოქმედი ტარიფების შესაბამისად გადაიხადოს ოპერაციების წარმოებისათვის, ასევე, ანგარიშისა და ბარათ(ებ)ის მომსახურებისათვის ბანკში დადგენილი ყველა საკომისიო გადასახადი, საჭიროების შემთხვევაში ანაზღაუროს ბარათ(ებ)ის დაკარგვასთან დაკავშირებული დანახარჯები;

5.17. ბანკი არ არის პასუხისმგებელი:

5.17.1. ბარათის დაკარგვის შესახებ წერილობითი განაცხადის მიღებამდე და სტოპ სიაში მოთავსების მიზნით კლიენტის მიერ საკომისიოს გადახდამდე ბარათით განხორციელებულ უკანონო ოპერაციაზე;



- 5.17.2. ბარათით განხორციელებულ ნებისმიერ უკანონო ოპერაციაზე;
- 5.17.3. ცრუ შეტყობინების შედეგად ბარათის ბლოკირებაზე;
- 5.17.4. ბარათის მოქმედების შეჩერებაზე;
- 5.17.5. ბარათის მფლობელსა და P2P მომსახურების ობიექტებს შორის წარმოქმნილ სადავო საკითხებზე;
- 5.17.6. დაგვიანებულ, არასწორ, არაკორექტულ ან შეუსრულებელ ოპერაციებზე, რომლებიც გამოწვეულია საერთაშორისო საგადასხდელი სისტემის ან ტექნიკური მიზეზების გამო;
- 5.17.7. ბარათის მეშვეობით ჩატარებული ოპერაციის კანონიერებაზე;
- 5.18. ბანკი არ განიხილავს მიღებულ პრეტენზიებს, თუ ბარათის დაკარგვისას უფლებამოსილი მფლობელის მხრიდან დარღვეული იქნება ხელშეკრულებით განსაზღვრული ბანკის ინფორმირების წესები;
- 5.19. კლიენტი პასუხისმგებელია:
- 5.19.1. ბარათის მეშვეობით ჩატარებულ ყველა არაკანონიერ ოპერაციაზე;
- 5.19.2. დამატებითი ბარათით სარგებლობის შედეგად ბანკის წინაშე წარმოშობილ ვალდებულებებისთვის;
- 5.19.3. დამდგარი ზიანისთვის, თუ ბანკისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ანგარიში, წვდომის კოდი ან სხვა ინფორმაცია პლასტიკური ბარათ(ებ)ისა და მისი მფლობელ(ებ)ის შესახებ ცნობილი გახდა მესამე პირ(ებ)ისთვის;
- 5.19.4. ყველა ოპერაციაზე, რომელიც განხორციელდა ანგარიშზე მის დახურვამდე ან დახურვის შემდეგ; ბარათის, და/ან წვდომის კოდის გამოყენებით ჩატარებულ ნებისმიერი ტიპის ოპერაციაზე;
- 5.19.5. კლიენტი ვალდებულია აუნაზღაუროს ბანკს ზიანი, რომელიც წარმოიქმნება ბარათის მფლობელის მიერ წინამდებარე ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო;
- 5.20. ბანკი პასუხისმგებელია:
- 5.20.1. კლიენტის წინაშე ანგარიშზე ოპერაციების წარმოების სისწორესა და დროულობაზე მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;
- 5.20.2. ანგარიშზე წარმოებული ოპერაციების შესახებ ინფორმაციის კონფიდენციალურობაზე,

გარდა ამ ხელშეკრულებით და კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

## 6. სმს ბანკი

- 6.1. ბანკი კლიენტის მიერ განაცხადში დაფიქსირებულ მობილური ტელეფონის ნომერზე მოკლე ტექსტური შეტყობინების მეშვეობით აცნობებს კლიენტს ინფორმაციას მის მიერ განხორციელებული ოპერაციის შესახებ. აღნიშნული შეტყობინება განხორციელდება ბანკში დადგენილი ფორმით ოპერაციის შესრულებისთანავე;
- 6.2. კლიენტი ვალდებულია სმს-ბანკის მომსახურებით სარგებლობისთვის ბანკს გადაუხადოს ბანკის მიერ დადგენილი საკომისიო;
- 6.3. ბანკი არ არის პასუხისმგებელი დაგვიანებულ, არაკორექტულ ან შეუსრულებელ შეტყობინებებზე, რომლებიც გამოწვეულია ბანკისგან დამოუკიდებელი, მათ შორის ტექნიკური, მიზეზების გამო;
- 6.4. ბანკი არ არის პასუხისმგებელი კლიენტის მიერ განაცხადში დაფიქსირებული ნომრის შეცვლის, გასხვისების, მობილური ტელეფონის ან სიმ-ბარათის დაკარგვის, სხვისთვის გადაცემის და ნებისმიერი მსგავსი ვითარების შედეგად კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნებით გამოწვეულ შედეგებზე.

## 7. ინტერნეტ-ბანკი

- 7.1. ინტერნეტ ბანკით მომსახურება გულისხმობს ბანკში გამოუცხადებლად კლიენტის მიერ ბანკის ინტერნეტ გვერდის [www.libertybank.ge](http://www.libertybank.ge) საშუალებით კლიენტის მიერ სხვადასხვა ინფორმაციის მიღებას და საბანკო ოპერაციების განხორციელებას ბანკში დადგენილი წესების შესაბამისად.
- 7.2. აღნიშნული მომსახურებით სარგებლობისთვის კლიენტს ბანკში არსებული პროცედურების დაცვით გადაეცემა ინტერნეტ-ბანკით სარგებლობისთვის საჭირო საიდენტიფიკაციო მონაცემები ან/და ელექტრონული საშუალებები ან/და მოწყობილობები, რომელთა გამოყენებითაც ხდება კლიენტის იდენტიფიკაცია. კლიენტი ვალდებულია ასეთი მოწყობილობების თუ

საშუალებების გამართულობა შეამოწმოს მიღებიდან 7 (შვიდი) დღის ვადაში.

7.3. ბანკი უფლებამოსილია შექმნას დამატებითი მექანიზმები კლიენტის საიდენტიფიკაციოდ.

7.4. კლიენტის მიერ ინტერნეტ-ბანკით სარგებლობისას, იდენტიფიცირება არ ხდება ხელმოწერით ან პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტებით. ასეთ შემთხვევაში პიროვნების იდენტიფიცირება ხდება კლიენტის მიერ აუთენტირების დადგენის ელექტრონული პროცედურების გავლის შემდეგ, ნებისმიერი ქმედება, რომელიც შესრულებულია მას შემდეგ, რაც ელექტრონულ სისტემაში მოხდა ნებადართული შეღწევა ნამდვილობის დადგენის ელექტრონული პროცედურების გავლის შემდეგ, ასეთი შეღწევა და შეღწევის შედეგად შესრულებული ნებისმიერი ოპერაცია ჩაითვლება კლიენტის მიერ სათანადოდ შესრულებულად და სამართლებრივი ძალის მქონედ.

7.5. ბანკი და კლიენტი ვალდებული არიან დაიცვან საიდენტიფიკაციო მონაცემების კონფიდენციალობა.

7.6. საიდენტიფიკაციო მონაცემების დაკარგვის შემთხვევაში კლიენტი ვალდებულია დაუყოვნებლივ მიმართოს ბანკს, რის საფუძველზეც ბანკი მოახდენს კლიენტის ლიბერთი ანგარიშზე ინტერნეტ-ბანკის მომსახურების შეჩერებას.

7.7. ბანკი არ არის პასუხისმგებელი ნებისმიერ დანაკარგსა ან ზიანზე რომელიც ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე გამოწვეულია ტექნიკური დეფექტით, ელექტრონული გადაცემის ხარვეზით, ბანკის ელექტრონულ სისტემებში, და სხვა ელექტრონულ საშუალებებში უკანონო შეღწევის გზით. ამასთანავე, ბანკი არ არის პასუხისმგებელი ნებისმიერ დანაკარგსა ან ზიანზე, რომელიც გამოწვეული იქნა სერვისში შეფერხებით ან/და სერვისის გადატვირთვით რომელიც გავლენას ახდენს ელექტრონული სისტემების ფუნქციონირებაზე.

7.8. ნებისმიერი ტექნიკური საშუალება, რომელსაც ბანკი გადასცემს კლიენტს წარმოადგენს ბანკის საკუთრებას და კლიენტის მიერ გამოყენებული უნდა იქნას წინამდებარე პირობებში გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად.

7.9. ბანკი უფლებამოსილია კლიენტის აქტიურ ოპერაციებზე ცალმხრივად დააწესოს შეზღუდვები.

7.10. ბანკი უფლებამოსილია შეასრულოს კლიენტის მიერ ინტერნეტ-ბანკის საშუალებით გაგზავნილი დავალება. ასეთი სახით გაგზავნილი დავალება ბანკის მიერ ჩაითვლება უფლებამოსილი პირის მიერ გაგზავნილად. კლიენტის მიერ დავალების ინტერნეტ-ბანკის საშუალებით გაგზავნის შემთხვევაში, ბანკი უფლებამოსილია ცალმხრივად უარი თქვას ინდივიდუალური დავალების შესრულებაზე, იმ შემთხვევაში თუ ანგარიშზე არსებული ნაშთი არ არის საკმარისი აღნიშნული დავალების შესასრულებლად ან მიღებული დავალების ოდენობა აჭარბებს ბანკის მიერ დადგენილ ყოველდღიურ ლიმიტს.

7.11. კლიენტი აცნობიერებს რისკს, რომ ინტერნეტ-ბანკით სარგებლობა დაკავშირებულია ელექტრონული სახით ინფორმაციის გაცვლასთან და აქედან გამომდინარე პასუხისმგებელია ნებისმიერი მესამე პირის მიერ ელექტრონულ სისტემაში უკანონო შეღწევით გამოწვეულ ზიანზე.

7.12. კლიენტი აცნობიერებს და თანხმდება, რომ ბანკს ნებისმიერ დროს აქვს უფლება განათავსოს სავალდებულო ძალის მქონე წერილობითი განცხადება (დისკლეიმერი) ელექტრონული სახით ინფორმაციის განთავსების და მიწოდების ადგილას.

7.13. კლიენტი აცნობიერებს და თანხმდება, რომ ბანკს ნებისმიერ დროს აქვს უფლება დააწესოს შეზღუდვა მის მიერ მომსახურების გაწევაზე ან კლიენტის მიერ საბანკო პროდუქტის გამოყენებაზე უცხო ქვეყნის ტერიტორიაზე.

7.14. კლიენტის მიერ ინტერნეტ-ბანკის სერვისის 6 თვეზე მეტი ვადით გამოუყენებლობისას ბანკი უფლებამოსილია გაუუქმოს კლიენტს ავტორიზაცია. კლიენტი უფლებამოსილია შესაბამისი ტარიფის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გადახდის სანაცვლოდ მოითხოვოს აღნიშნული სერვისის გააქტიურება.

7.15. კლიენტი ვალდებულია:

7.15.1. უსაფრთხოდ შეინახოს ინტერნეტ-ბანკით სარგებლობისთვის საჭირო ნებისმიერი ინფორმაცია, მოწყობილობა (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და წვდომის კოდები. კლიენტს



ეკრძალება აღნიშნული ინფორმაციის გამჟღავნება ნებისმიერი მესამე პირისათვის;

7.15.2. ინტერნეტ-ბანკში პირველივე შესვლისას შეცვალოს წვდომის კოდი და შემდგომში პერიოდულად ცვალოს იგი უსაფრთხოების დაცვის მიზნით, და დაიცვას მისი კონფიდენციალობა;

7.15.3. წვდომის კოდის და მოწყობილობის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) დაკარგვის ან გამჟღავნების შემთხვევაში დაუყოვნებლივ აცნობოს ბანკს.

7.16. ბანკი არ არის პასუხისმგებელი შედეგებზე, რომლებიც გამოწვეულია კლიენტის ან სხვა პირის კუთვნილი კომპიუტერის, ქსელის ან პროგრამული უზრუნველყოფის გაუმართაობით, ასევე აღნიშნული საშუალებების გამოყენებით მესამე პირ(ებ)ის მიერ კონფიდენციალური ინფორმაციის მიღებით ან განხორციელებული ოპერაციებით.

7.17. კლიენტი ადასტურებს, რომ ინტერნეტ-ბანკის საშუალებით შესრულებულ ოპერაციებს აქვთ ანგარიშის განკარგვაზე უფლებამოსილი პირის მიერ დადასტურებული (წერილობითი ფორმით შესრულებული და ხელმოწერილი) ქაღალდზე დაბეჭდილი საბუთის თანაბარი იურიდიული ძალა.

**8. ლიბერთი ანგარიშიდან ავტომატური გადარიცხვები**

8.1. კლიენტის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ავტომატური გადარიცხვებით მომსახურების მოთხოვნის შემთხვევაში ბანკს შესაძლებლობა ეძლევა, ლიბერთი ანგარიშიდან უაქცეპტო წესით ჩამოჭრას და გადარიცხოს წინასწარ განსაზღვრული თანხები ან ანგარიშზე არსებული თანხების წინასწარ შეთანხმებული ნაწილი წინასწარ განსაზღვრულ ანგარიშ(ებ)ზე წინასწარ განსაზღვრულ თარიღებში.

8.2. ავტომატური გადარიცხვებით მომსახურების ჩართვა კლიენტისთვის მოხდება მის მიერ განაცხადის შევსების შემდეგ, ამავე განაცხადში მითითებული პარამეტრების შესაბამისად.

8.3. კლიენტის ამგვარი ავტომატური გადარიცხვებით მომსახურების განხორციელება დამოკიდებულია იმაზე, არსებობს თუ არა საკმარისი თანხები კლიენტის ანგარიშ(ებ)ზე, რომლებიც მითითებულია შევსებული

ავტომატური გადარიცხვების განაცხადის ფორმაში;

8.4. მხარეები თანხმდებიან, რომ ავტომატური გადარიცხვების შესასრულებლად ბანკის მიერ შექმნილ ელექტრონულ საგადახდო საბუთებს აქვთ ქაღალდზე დაბეჭდილი და ანგარიშის განკარგვის უფლებამოსილების მქონე პირის მიერ ხელმოწერით დადასტურებული ქაღალდის საბუთის თანაბარი იურიდიული ძალა.

8.5. კლიენტი უფლებამოსილია:

8.5.1. შეიტანოს შესაბამისი ცვლილებები სერვისზე რეგისტრაციის თავდაპირველ განაცხადში დაფიქსირებულ მონაცემებში;

8.5.2. უარი განაცხადოს სერვისით სარგებლობაზე.

8.6. ბანკი უფლებამოსილია:

8.6.1. არ განახორციელოს ავტომატური გადარიცხვა კლიენტის ანგარიშზე არასაკმარისი თანხის არსებობისას;

8.6.2. არ განახორციელოს ავტომატური გადარიცხვა კანონმდებლობით განსაზღვრულ შემთხვევებში, ასევე ბანკის წინაშე კლიენტის დავალიანების არსებობისას;

8.6.3. განსაზღვროს გადარიცხვის პრიორიტეტები.

8.7. კლიენტი ვალდებულია:

8.7.1. ლიბერთი ანგარიშზე ყოველთვის იქონიოს ავტომატური გადარიცხვისთვის საკმარისი ნაშთი;

8.7.2. გადაიხადოს მომსახურების საფასური გადარიცხვის მომენტისთვის ბანკში მოქმედი ტარიფების შესაბამისად.

**9. ლიბერთი ანგარიშიდან ავტომატური გადახდები**

9.1. ავტომატური გადახდებით მომსახურება გულისხმობს კლიენტის ლიბერთი ანგარიშიდან მომსახურების საფასურის გადარიცხვას კლიენტის შემდგომი თანხმობის გარეშე, ავტომატური გადახდების შესახებ კლიენტის განაცხადში მითითებული ინფორმაციის და კლიენტის დავალიანების შემოწმების საფუძველზე.

9.2. ავტომატური გადახდების მომსახურების ჩართვა კლიენტისთვის მოხდება მის მიერ განაცხადის შევსების შემდეგ, ამავე განაცხადში მითითებული პარამეტრების შესაბამისად.

9.3. კლიენტის ამგვარი ავტომატური გადახდებით მომსახურების განხორციელება დამოკიდებულია იმაზე, არსებობს თუ არა საკმარისი თანხები



კლიენტის ანგარიშ(ებ)ზე, რომლებიც მითითებულია შევსებული ავტომატური გადარიცხვების განაცხადის ფორმაში;

9.4. მხარეები თანხმდებიან, რომ ავტომატური გადახდების შესასრულებლად ბანკის მიერ შექმნილ ელექტრონულ საგადახდო საბუთებს აქვთ ქალაქში დაბეჭდილი და ანგარიშის განკარგვის უფლებამოსილების მქონე პირის მიერ ხელმოწერით დადასტურებული ქალაქის საბუთის თანაბარი იურიდიული ძალა.

9.5. კლიენტი უფლებამოსილია:

9.5.1. შეიტანოს შესაბამისი ცვლილებები სერვისზე რეგისტრაციის თავდაპირველ განაცხადში დაფიქსირებულ მონაცემებში;

9.5.2. უარი განაცხადოს სერვისით სარგებლობაზე.

9.6. ბანკი უფლებამოსილია:

9.6.1. არ განახორციელოს ავტომატური გადახდა კლიენტის ანგარიშზე არასაკმარისი თანხის არსებობისას;

9.6.2. არ განახორციელოს ავტომატური გადახდა კანონმდებლობით განსაზღვრულ შემთხვევებში, ასევე ბანკის წინაშე კლიენტის დავალიანების არსებობისას;

9.6.3. განსაზღვროს გადარიცხვის პრიორიტეტები.

9.7. კლიენტი ვალდებულია:

9.7.1. ლიბერთი ანგარიშზე ყოველთვის იქონიოს ავტომატური გადახდისთვის საკმარისი ნაშთი;

9.7.2. გადაიხადოს მომსახურების საფასური გადარიცხვის მომენტისთვის ბანკში მოქმედი ტარიფების შესაბამისად.

**10. ყოველთვიური ამონაწერი ლიბერთი ანგარიშიდან**

10.1. ამონაწერი წარმოადგენს ბანკში დადგენილი ფორმით შედგენილ ინფორმაციას, კლიენტის ლიბერთი ანგარიშზე განხორციელებული ოპერაციებისა და ნაშთების შესახებ.

10.2. აღნიშნული მომსახურებით სარგებლობის შემთხვევაში ბანკი ყოველი თვის ბოლოს კალენდარულ დღეს გაუგზავნის კლიენტს წინმსწრები კალენდარული თვის მდგომარეობით ლიბერთი ანგარიშიდან ამონაწერს, კლიენტის მიერ განაცხადში დაფიქსირებულ ელექტრონულ ფოსტაზე.

10.3. კლიენტი ვალდებულია აღნიშნული მომსახურებით სარგებლობისთვის გადაუხადოს ბანკს საზღაური ბანკში დადგენილი ტარიფებით.

10.4. იმ შემთხვევაში, თუ კლიენტს არ გააჩნია ელფოსტის მისამართი ან არ მიუთითებს მას განაცხადში, ბანკი არ არის პასუხისმგებელი ამონაწერის კლიენტისთვის მიწოდებაზე. ამასთან, აღნიშნული მომსახურების დამოუკიდებლად ან პაკეტის ფარგლებში გააქტიურების შემთხვევაში, კლიენტი ვალდებულია გადაიხადოს მისთვის დადგენილი შესაბამისი საკომისიო.

10.5. ყოველთვიური ამონაწერის მიწოდების მომსახურების გაწევისას, ბანკი არ არის პასუხისმგებელი ბანკისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნებაზე, რაც შეზღუდვის გარეშე მოიცავს ისეთ შემთხვევებს, როდესაც არაუფლებამოსილმა პირ(ებ)მა შეძლო კლიენტის ან სხვა პირის კუთვნილი კომპიუტერის, ქსელის ან პროგრამული უზრუნველყოფის სისტემაში შეღწევა და ამონაწერში დაფიქსირებული ინფორმაციის გაცნობა ან სხვაგვარად გამოყენება.

10.6. ბანკი არ არის პასუხისმგებელი იმაზე, რომ არასაიმედო დაუცველი ელექტრონული ფოსტიდან გაგზავნილი წერილი სწორად მიუვა ადრესატს ან არ იქნება გაყალბებული. აქედან გამომდინარე, ბანკი არ იძლევა გარანტიას, რომ ნებისმიერი წერილი გაგზავნილი ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, რომელშიც გამგზავნად აღნიშნული არის ბანკი, რეალურად არის ბანკის მიერ გაგზავნილი.

**11. EMV ჩიპიანი ბარათი**

11.1. EMV ჩიპიანი ბარათი წარმოადგენს პლასტიკურ ბარათს ჩიპით.

11.2. EMV ჩიპიანი ბარათზე სრულად ვრცელდება ამ პირობების მე-5 მუხლით Liberty Card-ისთვის წინამდებარე პირობებით დადგენილი მოთხოვნები და პირობები.

**12. ფასდაკლების ქსელი**

12.1. ფასდაკლების ქსელი გულისხმობს ბანკის მიერ შერჩეულ მომსახურების და სავაჭრო ობიექტებს (შემდგომში "მომსახურე ობიექტი"), რომლებშიც აღნიშნული სერვისის გააქტიურების

შემდეგ კლიენტი მიიღებს ფასდაკლებას ბანკსა და ობიექტს შორის წინასწარ შეთანხმებული ოდენობით.

12.2. ფასდაკლების ქსელის მომსახურე ობიექტების ჩამონათვალი კლიენტს ეცნობება ბანკის საინფორმაციო მასალების, მათ შორის ბანკის ვებ-გვერდის [www.libertybank.ge](http://www.libertybank.ge) საშუალებით.

12.3. ბანკი უფლებამოსილია კლიენტთან წინასწარი შეთანხმების გარეშე შეიტანოს ცვლილება ფასდაკლების ქსელის მომსახურე ობიექტების ჩამონათვალი.

12.4. მომსახურე ობიექტებში არსებული ფასდაკლების ოდენობის ან მომსახურე ობიექტების ცვლილების შემთხვევაში კლიენტს ეცნობება ბანკის საინფორმაციო მასალების მათ შორის ბანკის ვებ-გვერდის [www.libertybank.ge](http://www.libertybank.ge) საშუალებით.

12.5. ბანკი არ არის პასუხისმგებელი მომსახურე ობიექტების მიერ ფასდაკლების, მომსახურების და სხვა პირობების შეცვლაზე, ან მომსახურე ობიექტების მხრიდან ფასდაკლებით მომსახურებაზე ნებისნირი მიზეზით უარის განცხადების შემთხვევაში.

12.6. მომსახურების ობიექტების მიერ საკუთარი ფასდაკლების აქციის განხორციელების პერიოდში არ განხორციელდება დამატებითი ფასდაკლება ბანკის პლასტიკური ბარათებით პროდუქციის/მომსახურების შეძენის შემთხვევაში, თუ ბანკი და მომსახურების ობიექტი სხვა რამეზე არ შეთანხმდებიან.

### **13. P2P - საბარათე გადარიცხვები ბანკომატის მეშვეობით**

13.1. "VISA P2P სერვისი" გადარიცხვებით მომსახურება გულისხმობს კლიენტის მიერ ბანკის კუთვნილი ბანკომატების მეშვეობით თანხის გადარიცხვის განხორციელებას როგორც საქართველოს ტერიტორიაზე, ისე საზღვარგარეთ.

13.2. P2P-ის საშუალებით გადარიცხვა შესაძლებელია ლიბერთი ბანკის საბარათე ანგარიშ(ებ)იდან ნებისმიერი ბანკის საბარათე ანგარიშ(ებ)ზე.

13.3. კლიენტი პასუხისმგებელია ყველა დავალებაზე, რომელსაც იგი გასცემს ბანკზე სპეციალური უსაფრთხოების პროცედურების გავლის შემდეგ, იმ მომენტამდე, სანამ იგი არ

შეწყვეტს P2P გადარიცხვების მომსახურებით სარგებლობას. აღნიშნული გულისხმობს პასუხისმგებლობას შეცვებისას დაშვებულ ნებისმიერ შეცდომას ან დავალებას, რომელიც განხორციელებული იქნა მესამე პირის მიერ.

13.4. კლიენტის მიერ P2P გადარიცხვების განსახორციელებლად განკუთვნილი საბანკო ბარათით სარგებლობის და უსაფრთხოების წესები განისაზღვრება წინამდებარე პირობების მე-5 მუხლის შესაბამისად.

13.5. კლიენტმა არ უნდა გამოიყენოს P2P გადარიცხვების მომსახურება, თუ ამას შედეგად მოჰყვება მისი ანგარიშზე თანხის გადახარჯვა ბანკის წინასწარი თანხმობის გარეშე;

13.6. კლიენტი პასუხისმგებელი იქნება ნებისმიერ ოპერაციაზე, რომელსაც იგი განხორციელებს P2P გადარიცხვების მომსახურებით აღნიშნული მომსახურების გამოყენების ვადის გასვლის შემდეგ.

13.7. ბანკი ყველა ზომას მიმართავს იმისთვის, რომ კლიენტი უზრუნველყოს P2P გადარიცხვების მომსახურებით, მაგრამ ბანკი არ იქნება პასუხისმგებელი იმ შემთხვევაში, თუ ვერ მოხერხდა აღნიშნული მომსახურებით კლიენტის უზრუნველყოფა ბანკისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო. რაც ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე გულისხმობს ისეთ შემთხვევებსაც, როდესაც ხდება ბანკის სისტემის ან P2P გადარიცხვებით მომსახურების შეფერხება სისტემის განახლების და გაუმჯობესების მიზეზით.

13.8. კლიენტის ან/და საკუთარი ინტერესების დასაცავად, ბანკს შეუძლია შეაჩეროს ან შეზღუდოს კლიენტის მიერ P2P მომსახურების ან მისი ნაწილის გამოყენება. ამგვარი ქმედების განხორციელებისას ბანკი პირველი შესაძლებლობისთანავე შეტყობინებას გაუზიარებს კლიენტს. ბანკს აგრეთვე შეუძლია ნებისმიერ დროს მთლიანად ან ნაწილობრივ შეუწყვიტოს კლიენტს P2P-ს მომსახურება.

13.9. კლიენტი უფლებამოსილებას ანიჭებს ბანკს განხორციელოს კლიენტის მიერ გაცემული ყველა ელექტრონული მითითება, (რომელიც ასახულია ბანკის მიერ) P2P მომსახურების მეშვეობით.



13.10. ბანკის მხრიდან არ ჩაითვლება ხელშეკრულების დარღვევად და იგი არ იქნება ვალდებული დამდგარ შედეგზე როდესაც:

13.10.1. P2P მომსახურების (ან მისი ნაწილის) განხორციელება შეუძლებელია ბანკისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო;

13.10.2. კლიენტის უსაფრთხოების დეტალები (კერძოდ, საბანკო ბარათის პინ-კოდი) არავტორიზებულად იქნა გამოყენებული;

13.10.3. ბანკს არ მიუღია კლიენტის მიერ გაგზავნილი დავალებ(ებ)ი;

**14. უკონტაქტო ლიბერთი ბარათი /Liberty Card VISA Paywave**

14.1. უკონტაქტო ლიბერთი ბარათი წარმოადგენს ჩიპიანი საბანკო ბარათის ნაირსახეობას, რომელიც კლიენტს აძლევს საშუალებას უკონტაქტოდ აწარმოოს ოპერაციები შესაბამისი სერვისის გაწევაზე ავტორიზირებულ და სათანადო ტექნიკური საშუალებებით აღჭურვილ მომსახურების ობიექტებში.

14.2. უკონტაქტო ლიბერთი ბარათის სარგებლობის და უსაფრთხოების წესები განისაზღვრება წინამდებარე პირობების მე-5 მუხლის შესაბამისად.

**15. ფრაიორითი ტრეველერი (Priority Traveller )**

15.1. ფრაიორითი ტრეველერი/ Priority Traveller ბარათის მომსახურება მოიცავს სამოგზაურო დაზღვევას, ფასდაკლებებს სასტუმროებში, კონსიერჟის მომსახურებას, სხვადასხვა ქვეყნის საერთაშორისო აეროპორტებში ვიპ დარბაზებით მომსახურებას და სხვა მრავალ სერვისს, რომლის შესახებაც დეტალური ინფორმაციის მიღება შესაძლებელია ფრაიორითი ტრეველერის ბუკლეტებში და "ფრაიორითი ტრეველერი ჯგუფის" ინტერნეტ გვერდზე [www.prioritytraveller.com](http://www.prioritytraveller.com)

15.2. კლიენტი ვალდებულია Priority Traveller-ის ვებ-გვერდზე შესვლის მიზნით გაიაროს რეგისტრაცია;

15.3. დაუშვებელია პლასტიკური ბარათის სხვა პირზე გადაცემა ან/და სხვა პირის მიერ მისი გამოყენება.

15.4. Priority Traveller-ის პლასტიკური ბარათი არ წარმოადგენს საკრედიტო ან საბანკო ბარათს და არ

გააჩნია კლიენტის კრედიტუნარიანობის დამადასტურებელი დოკუმენტის ძალა.

15.5. კლიენტი ვალდებულია ყოველთვის დაიცვას წინამდებარე პირობები და Priority Traveller Group-ის ვებ-გვერდზე - [www.prioritytraveller.com](http://www.prioritytraveller.com)-ზე არსებული Priority Traveller-ის პლასტიკური ბარათით სარგებლობის წესები.

15.6. კლიენტს უფლება არა აქვს:

15.6.1. გამოიყენოს Priority Traveller-ის პლასტიკური ბარათი საქართველოს და/ან სხვა ქვეყნის შესაბამისი იურისდიქციით განსაზღვრული არალეგალური მიზნებისთვის;

15.6.2. გამოიყენოს Priority Traveller-ის პლასტიკური ბარათი მის ძალაში შესვლამდე ან ვადის გასვლის შემდეგ, ან მას შემდეგ, რაც კლიენტი მიიღებს შეტყობინებას იმის შესახებ, რომ გაუქმდა აღნიშნული Priority Traveller-ის პლასტიკური ბარათი.

15.7. Priority Traveller-ის წევრობის პლასტიკური ბარათი წარდგენილი უნდა იქნეს ადმინისტრატორის მიერ განსაზღვრულ მომსახურების ობიექტზე კლიენტისთვის სასურველი ოპერაციის განხორციელებამდე და აღნიშნული ოპერაციითვის თანხის გადახდამდე;

15.8. Priority Traveller-ის წევრობის ბარათი წარმოადგენს ადმინისტრატორის საკუთრებას და კლიენტი ვალდებულია დაუბრუნოს იგი ბანკს მოთხოვნისთანავე, იმ შემთხვევაში თუ მისი გამოყენება ეწინააღმდეგება წინამდებარე მუხლით განსაზღვრულ პირობებს.

15.9. ბანკს არ გააჩნია კონტროლის საშუალება Priority Traveller-ის მომსახურების ობიექტებზე და აქედან გამომდინარე არ არის პასუხისმგებელი მათ მიერ მომსახურების გაწევის ხარისხზე ან/და აღნიშნულ მომსახურების ობიექტებში Priority Traveller-ის ბარათის გამოყენების შესაძლებლობაზე;

15.10. Priority Traveller-ის პლასტიკური ბარათის დაკარგვის ან მოპარვის თითოეული შემთხვევა დაუყოვნებლივ წერილობით უნდა ეცნობოს ბანკს. მოპარული, დაკარგული ან დაზიანებული Priority Traveller-ის წევრობის პლასტიკური ბარათის სანაცვლოდ ბანკი კლიენტზე გასცემს ახალ Priority Traveller-ის პლასტიკურ ბარათს შესაბამისი ღირებულების გადახდით, რომელზეც დაიტანება



კლიენტის ახალი საიდენტიფიკაციო ნომერი (ბარათზე ამოტვიფრული თოთხმეტნიშნა კოდი).

**16. Priority Pass (ფრაიორითი ფასი)**

16.1. Priority Pass მომსახურების შეძენისას კლიენტს გადაეცემა ადმინისტრატორის კუთვნილი Priority Pass არასაბანკო ბარათი, რომლის მეშვეობითაც კლიენტი ერთვება ადმინისტრატორის Priority Pass პროგრამაში. ეს პროგრამა საშუალებას აძლევს Priority Pass-ის წევრებს და მათ სტუმრებს შევიდნენ და ისარგებლონ მსოფლიოს მასშტაბით აეროპორტის “VIP” მოსაცდელი დარბაზ(ებ)ით, თითოეულ ვიზიტზე სტანდარტული გადასახდელის საფასურად, რომელიც მოგვიანებით ჩამოეჭრება კლიენტს ანგარიშიდან.

16.2. კონკრეტული აეროპორტის მოსაცდელ დარბაზში Priority Pass-ის გამოყენების შესაძლებლობა განისაზღვრება Priority Pass-ის ვებ-გვერდზე ([www.prioritypass.com](http://www.prioritypass.com)) არსებული ინფორმაციით.

16.3. აეროპორტების მოსაცდელი დარბაზების სამუშაო დრო და Priority Pass-ის ბუკლეტსა და Priority Pass-ის ვებ-გვერდზე მითითებული მომსახურების სახეობების ხელმისაწვდომობა ყოველთვის ექვემდებარება მოსაცდელი დარბაზის თითოეული ოპერატორის ადმინისტრაციულ პროცედურებს, რომლებიც შეიძლება შეიცვალოს. კლიენტისათვის ინფორმაცია ამგვარი ცვლილების შესახებ განთავსდება Priority Pass-ის ვებ გვერდზე ([www.prioritypass.com](http://www.prioritypass.com)) და ბანკი პასუხს არ აგებს აღნიშნული ინფორმაციის სისწორეზე.

16.4. Priority Pass-ის ვებ-გვერდზე Priority Pass-ის ბარათის მფლობელთა მიერ ინფორმაციის მისაღებად და მომსახურების გამოსაყენებლად უნდა მოხდეს კლიენტის რეგისტრაცია.

16.5. Priority Pass-ის ბარათი გულისხმობს ინდივიდუალური წევრობის დამადასტურებელ პლასტიკურ ბარათს, რომელიც გაცემულია Priority Pass-ის თითოეულ წევრზე.

16.6. დაუშვებელია Priority Pass-ის ბარათის სხვა პირზე გადაცემა ან/და სხვა პირის მიერ მისი გამოყენება.

16.7. Priority Pass-ის პლასტიკური ბარათი არ წარმოადგენს საკრედიტო ან/და საბანკო ბარათს და

არ გააჩნია კლიენტის კრედიტუნარიანობის დამადასტურებელი დოკუმენტის ძალა.

16.8. კლიენტი ვალდებულია ყოველთვის დაიცვას წინამდებარე პირობები და Priority Travel Group-ის ვებ-გვერდზე - [www.prioritypass.com](http://www.prioritypass.com)-ზე არსებული ბარათით სარგებლობის წესები და პირობები.

16.9. კლიენტს უფლება არ აქვს:

16.9.1. გამოიყენოს Priority Pass-ის პლასტიკური ბარათი საქართველოს და/ან სხვა ქვეყნის შესაბამისი იურისდიქციით განსაზღვრული არალეგალური მიზნებისთვის;

16.9.2. გამოიყენოს Priority Pass-ის პლასტიკური ბარათი მის ძალაში შესვლამდე ან ვადის გასვლის შემდეგ, ან მას შემდეგ, რაც კლიენტი მიიღებს შეტყობინებას იმის შესახებ, რომ გაუქმდა აღნიშნული ბარათი.

16.10. მომსახურე აეროპორტის მოსაცდელ დარბაზებში შესასვლელად კლიენტმა სავალდებულო წესით უნდა წარადგინოს Priority Pass-ის პლასტიკური ბარათი.

16.11. ბანკს არ გააჩნია კონტროლის საშუალება Priority Pass-ის მომსახურების ობიექტებზე და აქედან გამომდინარე არ არის პასუხიმგებელი მათ მიერ მომსახურების გაწევის ხარისხზე ან/და აღნიშნული მომსახურების ობიექტებში Priority Pass-ის პლასტიკური ბარათის გამოყენების შესაძლებლობაზე.

16.12. Priority Pass-ის პლასტიკური ბარათის დაკარგვის ან მოპარვის თითოეული შემთხვევა დაუყოვნებლივ წერილობით უნდა ეცნობოს ბანკს. მოპარული, დაკარგული ან დაზიანებული Priority Pass-ის წევრობის პლასტიკური ბარათის სანაცვლოდ ბანკი კლიენტზე გასცემს ახალ Priority Pass-ის ბარათს შესაბამისი ღირებულების გადახდით, რომელზეც დაიტანება კლიენტის ახალი საიდენტიფიკაციო ნომერი (ბარათზე ამოტვიფრული თოთხმეტნიშნა კოდი).

16.13. კლიენტისა და მისი სტუმრების მიერ აეროპორტის მოსაცდელ დარბაზში შესვლაზე ხარჯების დარიცხვა წარმოებს ერთი პიროვნება - ერთი ვიზიტის პრინციპით, რაც გულისხმობს იმას, რომ თითოეულ პიროვნებაზე ხარჯების დარიცხვა მოხდება ცალ-ცალკე.

16.14. ვიზიტი აეროპორტის მოსაცდელ დარბაზში რეგისტრირდება მოსაცდელი დარბაზის

ოპერატორის პერსონალის მიერ დარბაზში შესასვლელად კლიენტის მიერ Priority Pass-ის პლასტიკური ბარათის გამოყენებისას.

16.15. კლიენტი ვალდებულია გადაიხადოს მისი და სტუმრების მიერ მოსაცდელ დარბაზში განხორციელებული ვიზიტის ხარჯები, რომელთა ჩამოწერა მოხდება კლიენტის ლიბერთი ანგარიშიდან.

16.16. კლიენტი ვალდებულია აანაზღაუროს მის მიერ აეროპორტის მოსაცდელ დარბაზში განხორციელებული ვიზიტები, რომლებიც Priority Pass-ის პლასტიკური ბარათით განხორციელდა ბარათის დაკარგვის თაობაზე წერილობით შეტყობინებამდე. აღნიშნული ვიზიტების ღირებულების ოდენობით თანხა კლიენტს ავტომატურად უაქცეპტო წესით ჩამოეწერება მისი კუთვნილი ლიბერთი ანგარიშიდან.

### 17. სიმ ბარათი როუმინგის ფუნქციით

17.1. აღნიშნული მომსახურების შექმნის შემთხვევაში ბანკი კლიენტს (შემდგომში "ბარათის მფლობელი") გადასცემს ბანკის და კომპანია "World Travel Telecom"-ის (შემდგომში "კომპანია") ერთობლივ სიმ ბარათს, 10 (ათი) აშშ დოლარის ოდენობის სასაუბრო ბალანსით, რომლის საშუალებით მომხმარებელი საზღვარგარეთ ყოფნის დროს ისაუბრებს ბაზარზე არსებულ ტარიფებთან შედარებით შეღავათიანი ტარიფებით.

17.2. ბარათის მფლობელი იღებს მოკლე ტექსტურ შეტყობინებას ბალანსის შემცირების შესახებ და საშუალება აქვს შეავსოს ბალანსი:

17.2.1. ინტერნეტ ვებ-გვერდის ([www.goodline.ru](http://www.goodline.ru)) საშუალებით,

17.2.2. მობილური ტელეფონის საშუალებით.

17.3. ტურისტული სიმ ბარათი არის უვადო, იმ პირობით, თუ სალაპარაკო ბალანსი შევსებული იქნება მინიმუმ 12 თვეში ერთხელ. ბალანსის შევსების შემდეგ სიმ ბარათის მოქმედების პერიოდი ავტომატურად გაგრძელდება 12 თვით. იმ შემთხვევაში თუ, 12 თვის განმავლობაში ბალანსი არ იქნება შევსებული სიმ ბარათი გაუქმდება.

17.4. სიმ ბარათიდან ყველა გამავალი ზარი უნდა განხორციელდეს საერთაშორისო ფორმატში.

### 18. მობილ-ბანკი

18.1. ბანკი კლიენტს მიაწვდის მობილ ბანკით მომსახურებას კლიენტის მიერ მობილ-ბანკის განაცხადში მითითებული მოთხოვნების და/ან შევსებული ინფორმაციის შესაბამისად.

18.2. მობილ-ბანკის მომსახურების გამოყენებისთვის, კლიენტს უნდა გააჩნდეს მობილური ტელეფონი (შემდგომში "ტელეფონი") და შესაბამისი ნომერი, რომლის მეშვეობითაც იგი გააგზავნის დავალებებს ან/და მიიღებს ინფორმაციას. გარდა ამისა, კლიენტმა უნდა შეავსოს, ხელი მოაწეროს და ბანკს დაუბრუნოს განაცხადი, რომელშიც დამატებით აღწერილია მობილ ბანკით მომსახურების პირობები.

18.3. კლიენტი ადასტურებს, რომ ბანკისთვის მიწოდებული ტელეფონის ნომერი კლიენტის მფლობელობაშია და, თუ კლიენტი არ შეატყობინებს ბანკს ამ ფაქტთან დაკავშირებული ნებისმიერი ცვლილების თაობაზე, აღნიშნული ტელეფონიდან გაგზავნილი/მიღებული ინფორმაცია ჩაითვლება კლიენტის მიერ გაგზავნილად/მიღებულად.

18.4. კლიენტი ადასტურებს და იღებს ვალდებულებას, დაუყოვნებლივ შეატყობინოს ბანკს ტელეფონის ნომრის ცვლილების, ტელეფონის დაკარგვის, კლიენტის მიერ ტელეფონზე მფლობელობის გაუქმების ან/და სხვა ისეთი ცვლილების შესახებ, რამაც შეიძლება გავლენა მოახდინოს ბანკის მიერ კლიენტისთვის მობილ-ბანკის მომსახურების მიწოდებაზე.

18.5. კლიენტი ნებისმიერ ვითარებაში პასუხისმგებელი იქნება ბანკში ტელეფონიდან გაგზავნილ დავალებებზე.

18.6. კლიენტი უფლებამოსილებას ანიჭებს ბანკს შეასრულოს მის მიერ მიცემული დავალებები და დაამუშავოს ნებისმიერი ან ყველა ოპერაცია, მიიღოს მობილ ბანკით მომსახურების გადასახადი ან გადაუხადოს თანხები მესამე მხარეებს, ისე, როგორც ამას კლიენტი მოითხოვს.

18.7. ბანკი უფლებამოსილია კლიენტის მიერ მიცემული დავალების შესასრულებლად მიიღოს ყველა ზომა იმისთვის, რომ განხორციელოს დავალებები, რაც, ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე მოიცავს, შესაბამისი ინფორმაციის მოპოვებას და გადაცემას.



18.8. კლიენტი აცნობიერებს და ადასტურებს, რომ ბანკს, საკუთარი გადაწყვეტილებისამებრ, შეუძლია ჩაიწეროს ნებისმიერი ან ყველა დავალება, რომელიც მიღებულ ან გაგზავნილ იქნა ტელეფონის მეშვეობით და შეინახოს ამგვარი ინფორმაცია იმ სახით და ფორმით, რომელსაც საჭიროდ მიიჩნევს. კლიენტი ადასტურებს, რომ ბანკს შეუძლია დაეყრდნოს ასეთ ინფორმაციას და გამოიყენოს ნებისმიერი დავის განხილვისას როგორც მტკიცებულება.

18.9. ბანკს უფლება აქვს შეასრულოს კლიენტის დავალება მისი დამუშავებასთან დაკავშირებული დროის გათვალისწინებით, მაგრამ არაუგვიანეს მეორე საბანკო დღისა. ამასთან, ბანკი არ იქნება პასუხისმგებელი რაიმე ზარალზე, ზიანზე, პირდაპირ ან არაპირდაპირ ხარჯებზე, რომელიც კლიენტმა მიიღო ტექნიკური საშუალებების ან მესამე პირების მიერ მომსახურების შეფერხების შედეგად აღნიშნული ვადის დარღვევაზე.

18.10. კლიენტი ანიჭებს ბანკს უფლებამოსილებას გააგზავნოს მოკლე ტექსტური შეტყობინებები კლიენტის ტელეფონზე მობილ-ბანკის მომსახურების პირობების დაცვით, სანამ ბანკი სხვაგვარ წერილობით მითითებას არ მიიღებს კლიენტისგან.

18.11. კლიენტის ლიბერთი ანგარიშზე საკმარისი თანხების/ლიმიტის არ არსებობისას, ბანკი არ არის ვალდებული შეასრულოს დავალება.

18.12. ბანკი არ აგებს პასუხს მობილურ სატელეფონო მომსახურებაზე და კლიენტისთვის ამგვარი მომსახურების მიწოდებაზე პასუხისმგებელი იქნება მხოლოდ მობილური სატელეფონო მომსახურების მომწოდებელი. ასევე კლიენტსა და აღნიშნულ მობილურ სატელეფონო მომსახურების მომწოდებელს შორის წარმოშობილ სადაო სიტუაციაზე.

18.13. ბანკს უფლება აქვს ჩამოჭრას კლიენტის ანგარიშ(ებ)იდან მობილ ბანკით მომსახურების გადასახადი უაქცეპტო წესით ან თუ თანხები საკმარისი არ აღმოჩნდება, მიიღოს კლიენტის მიერ გადასახდელი თანხები ნებისმიერი ფორმით.

18.14. ბანკი დაეყრდნობა კლიენტისგან მოკლე ტექსტური შეტყობინებით მიღებულ ნებისმიერ ელექტრონულ დავალებას და ბანკი არ იქნება ვალდებული შეამოწმოს გამომგზავნის პიროვნება

ან მოკლე ტექსტური შეტყობინების ნამდვილობა. კლიენტი არანაირ ვითარებაში არ შეედავება ბანკს იმის გამო, რომ იგი ეყრდნობა ამგვარ დავალებებს. კლიენტი პასუხისმგებელია ტელეფონის არავტორიზირებულ გამოყენებაზე მესამე პირების მხრიდან.

18.15. ბანკი იტოვებს უფლებას, პერიოდულად განახორციელოს ცვლილებები, გააუმჯობესოს ან/და შეცვალოს მობილ-ბანკის მომსახურება.

18.16. ბანკს შეუძლია, საკუთარი გადაწყვეტილებისამებრ, მიიღოს ნებისმიერი სახის ოპერაციის ან დავალების გაუქმების მოთხოვნა კლიენტისგან იმის გათვალისწინებით, რომ ბანკს ჯერ არ დაუწყია აღნიშნული ოპერაციის ან დავალების განხორციელება. ბანკი არ იქნება პასუხისმგებელი დაგვიანებულ გადასახადზე ან ხარჯზე (პირდაპირი თუ არაპირდაპირი), რომელიც შეიძლება გამოწვეულ იქნას ამგვარი გაუქმებით. კლიენტი არ შეედავება ბანკს იმ მეთოდის ან ფორმის შესახებ, რომლითაც ბანკმა შეიძლება განახორციელოს ამგვარი გაუქმება.

## 19. ვალუტის გაცვლა

19.1. ბანკი კლიენტს გაუწევს ვალუტის გაცვლასთან დაკავშირებული საინფორმაციო და საბროკერო, ასევე, ვალუტის გაცვლითი ოპერაციებით მომსახურებას. ვალუტის გაცვლით ოპერაციაში იგულისხმება კლიენტის ერთ-ერთ სავალუტო ანგარიშზე არსებული თანხების გაყიდვა მეორის სანაცვლოდ. ვალუტის გაცვლით ოპერაციას ბანკი შეასრულებს კლიენტის განაცხადის შესაბამისად, ბანკში დადგენილი კომერციული ან თბილისის ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე დაფიქსირებული კურსით.

19.2. ბანკი იღებს ვალდებულებას ჩაატაროს ვალუტის გაცვლითი ოპერაცია კლიენტის ლიბერთი ანგარიშზე, ამგვარი ოპერაციის საწარმოებლად საჭირო თანხის არსებობის შემთხვევაში და ვალუტის გაცვლითი ოპერაციის შესრულებისთანავე ჩარიცხოს კლიენტის ანგარიშზე კლიენტის მიერ ნაყიდი თანხა განაცხადში მითითებულ ვალუტირების (კლიენტის ანგარიშებზე თანხების ჩამოწერისა და ჩარიცხვის) თარიღში.



19.3. ბანკი უფლებამოსილია კლიენტის მიერ ვალუტის გაცვლითი ოპერაციის წარმოების შესახებ განაცხადის მიღების მომენტიდან, ბლოკირება გაუკეთოს კლიენტის ლიბერთი ანგარიშზე თანხებს, განაცხადში არსებული კლიენტის მიერ გასაყიდი თანხის ფარგლებში (ოპერაციის საზღაურის გათვალისწინებით) ოპერაციის დასრულებამდე (ანგარიშებზე შესაბამისი თანხების ჩამოჭრა/ჩარიცხვამდე ან ბანკის მიერ ოპერაციის შეუსრულებლობისას).

19.4. ბანკი არ იღებს ვალდებულებას ვალუტის გაცვლითი ოპერაციის წარმოების შესახებ განაცხადის შესრულებაზე იმ შემთხვევაში, თუ განაცხადში მითითებულია კურსის შეზღუდვა, ან ბანკის მიერ დადგენილი კურსი არ აკმაყოფილებს კურსის შეზღუდვის მოთხოვნებს. კურსის შეზღუდვა გულისხმობს: ბირჟის კურსით განაცხადის შემთხვევაში ყიდვის მაქსიმალურ ან გაყიდვის მინიმალურ კურსს, ხოლო კომერციული კურსით განაცხადის შემთხვევაში – მხოლოდ მითითებულ კურსში ვალუტის გაცვლითი ოპერაციის შესრულების მოთხოვნას.

19.5. თუ ამ პუნქტში აღნიშნული მიზეზების გამო ნაწილობრივ განხორციელდა ან არ განხორციელებულა ბირჟის კურსით ვალუტის გაცვლითი ოპერაცია, ბანკი შეატყობინებს კლიენტს განაცხადის შეუსრულებლობის მიზეზების შესახებ და კლიენტისაგან მიღებული თანხმობის შემთხვევაში შეასრულებს ვალუტის გაცვლით ოპერაციას ბანკის მიერ განსაზღვრული კომერციული კურსით. ასეთი მიზეზები შეიძლება იყოს:

- ა) ბირჟაზე ვაჭრობა არ შედგა ბანკისაგან დამოუკიდებელი მიზეზის გამო;
- ბ) ბანკის განაცხადი ბირჟაზე ნაწილობრივ დაკმაყოფილდა;
- გ) კლიენტმა ბანკის მიერ ბირჟაზე ნაყიდი თანხა არ მიიღო ან მიიღო ნაწილობრივ.

19.6. კლიენტი ვალდებულია ვალუტის გაცვლითი ოპერაციების ჩატარებისათვის დააკმაყოფილოს ბანკში დადგენილი ზოგადი წესები (განაცხადის წარდგენის ვადები, შევსების წესები და ა.შ.) და გადაიხადოს აღნიშნული ოპერაციებისათვის დადგენილი საკომისიო გადასახადი.

**19<sup>1</sup>. eMoney ელექტრონული საფულე**

19<sup>1</sup>.1. eMoney ელექტრონული საფულით მომსახურება წარმოადგენს ბანკის და eMoney-ს ერთობლივ მომსახურებას, რომლის გამოყენებითაც ბანკისა და eMoney-ს კლიენტს ეძლევა საშუალება იქონიოს eMoney ელექტრონული საფულე კონკრეტული მომენტისთვის შესაძლო ვალუტაში(ებში), საიდანაც უფლებამოსილია აწარმოოს ანგარიშსწორება ან/და გადახდები, მიიღოს თანხები ელექტრონულ საფულეზე ან/და განახორციელოს კანონით ან/და შესაბამისი პირობებით გათვალისწინებული და ნებადართული სხვა მოქმედებები.

19<sup>1</sup>.2. eMoney ელექტრონული საფულის გასახსნელად კლიენტი ვალდებულია გაიაროს რეგისტრაცია eMoney ვებ-გვერდზე და მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული იდენტიფიკაციის პროცესი. რეგისტრაციის პროცესში, ელექტრონული საფულის გასახსნელად კლიენტი ვალდებულია დაეთანხმოს eMoney ელექტრონული საფულის გამოყენების პირობებს. eMoney ელექტრონული საფულით მომსახურების პირობები, ტარიფები და მხარეთა უფლებამოვალეობები.

19<sup>1</sup>.3. დეტალურად არის გაწერილი eMoney ელექტრონული საფულით მომსახურების პირობებში, რომელიც განთავსებულია ვებ-გვერდზე - [www.emoney.ge](http://www.emoney.ge) და რომელიც წარმოადგენს წინამდებარე პირობების დანართს და მის განუყოფელ ნაწილს.

19<sup>1</sup>.4. ბანკი იტოვებს უფლებას, რომ ცალმხრივად, საკუთარი გადაწყვეტილების შესაბამისად შეაჩეროს eMoney ელექტრონული საფულით (ან eMoney ელექტრონული საფულის ნებისმიერი ცალკეული ფუნქცია ან ფუნქციები, რაც შეზღუდვის გარეშე მოიცავს ბალანსის შევსებას, თანხების მიღებას ან/და თანხების განაღდებას) მომსახურება, იმ შემთხვევაში თუ ოპერაცია(ები) ბანკის ან/და eMoney-ს შეხედულებით ჩაითვლება, რომ (i) განხორციელდა წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დარღვევით, ან/და (ii) არის საეჭვო და დაკავშირებულია უკანონო შემოსავლების ლეგალიზებასთან, ტერორიზმის დაფინანსებასთან, თაღლითობასა ან/და სხვა უკანონო

საქმიანობასთან. ბანკი ან/და eMoney შეეცდება შეატყობინოს მერჩანტს ასეთი მომსახურების შეჩერების ან შეზღუდვის შესახებ, თუ მათ ასეთი შეტყობინების მიწოდება აკრძალული არ აქვთ კანონმდებლობით, სასამართლო გადაწყვეტილებით ან სხვა სავალდებულო სამართლებრივი დოკუმენტით.

**19<sup>2</sup>. Unicard-ის ქულების დაგროვება**

19<sup>2</sup>.1. Unicard-ის ქულების დაგროვება წარმოადგენს ბანკის და შპს „უნივერსალ ქარდ კორპორეიშნი“-ს (ს/კ 202461406, შემდგომში - Unicard) ერთობლივ მომსახურებას, რომლის გამოყენებითაც ბანკის კლიენტს ეძლევა საშუალება დააგროვოს Unicard-ის ქულები ბარათის საშუალებით იმ ობიექტებში, რომლებიც Unicard-ის მიერ ჩართულნი არიან Unicard-ის და ბანკის აღნიშნულ ერთობლივ პროექტში.

19<sup>2</sup>.2. კლიენტს, ბარათის გამოყენებით, Unicard-ის ქულების დაგროვების შესაძლებლობა ეძლევა, მას შემდეგ რაც მოხდება კლიენტის ლიბერთი ანგარიშის და Unicard-ის ბარათის დაკავშირება, ამასთან: (ა) თუ კლიენტს უკვე გააჩნია Unicard-ის ბარათი, კლიენტის შესახებ არსებული მონაცემების თანხვედრის შემთხვევაში ლიბერთი ანგარიშის დაკავშირება მოხდება აღნიშნულ Unicard-ის ბარათთან; (ბ) თუ კლიენტს არ გააჩნია Unicard-ის ბარათი, ბანკი Unicard-თან ერთად უფლებამოსილია კლიენტს დამატებით გაუხსნას Unicard-ის ანგარიშს, რომელზედაც მოხდება ბარათის გამოყენების შედეგად ქულების დაგროვება; (გ) გააჩნია, მაგრამ ვერ მოხდება Unicard-ის ბარათთან ლიბერთი ანგარიშის დაკავშირება ან გააჩნია ორი ან მეტი Unicard-ის ბარათი, ბანკი Unicard-თან ერთად უფლებამოსილია კლიენტს დამატებით გაუხსნას Unicard-ის ანგარიში, რომელზედაც მოხდება ბარათის გამოყენების შედეგად ქულების დაგროვება. ახალი/დამატებითი Unicard-ის ანგარიშის გახსნის შემთხვევაში აღნიშნულ ანგარიშზე არსებული ქულების განკარგვა, ასევე ამ ანგარიშზე ბარათის დამზადება განხორციელდება Unicard-ის მიერ განსაზღვრული წესით.

19<sup>2</sup>.3. ლიბერთი ანგარიშის Unicard-ის ბარათთან დაკავშირების საფუძველზე, კლიენტს ეძლევა

საშუალება Unicard-ის იმ ყველა პარტნიორთან, რომელიც Unicard-ის მიერ ჩართულნი არიან Unicard-ის და ბანკის აღნიშნულ ერთობლივ პროექტში და სადაც განთავსებულია ლოგო „UNICARD, SHOP & BONUS“, საქონლის/მომსახურების შესყიდვის განხორციელებისთანავე წარადგენოს ბარათი ფულის მიმღებ პირთან (მოლარე, ან სხვა საამისოდ უფლებამოსილ პირი), რის შემდეგაც ბარათი გატარდება პოს-ტერმინალში, ქარდ-რიდერში ან აისახება პროგრამულ უზრუნველყოფაში, რაც Unicard-ის ბარათზე ქულების დაგროვების საფუძველია.

19<sup>2</sup>.4. დამატებითი ბარათით სარგებლობის შემთხვევაში ქულების დაგროვება განხორციელდება ძირითადი ბარათის მფლობელი კლიენტის Unicard-ის ბარათზე.

19<sup>2</sup>.5. ბანკი უფლებამოსილია, Unicard-ის ანგარიშის გახსნის და Unicard-ით მომსახურების (მათ შორის ქულების დარიცხვის) მიზნით, Unicard-ს მიაწოდოს კლიენტის შესახებ არსებული პერსონალური მონაცემები და ინფორმაცია ბარათით განხორციელებული ოპერაციების შესახებ.

19<sup>2</sup>.6. ბანკს არ გააჩნია კონტროლის საშუალება Unicard-ის მომსახურების ქსელში (პარტნიორი კომპანიები) ჩართულ ობიექტებზე და აქედან გამომდინარე არ არის პასუხისმგებელი მათ მიერ მომსახურების გაწევის ხარისხზე ან/და აღნიშნული მომსახურების ობიექტებში Unicard-ის ბარათის გამოყენების შესაძლებლობაზე.

19<sup>2</sup>.7. Unicard-ის ანგარიშზე ქულების დაგროვების, მათი დახარჯვის, შეჩერების, ჩამოწერის ან/და Unicard-ით სარგებლობის სხვა დამატებითი პირობები განისაზღვრება Unicard-ის ვებ-გვერდზე (<http://www.unicard.ge>) არსებული „უნივერსალური დაგროვებითი ბარათით „უნიქარდით“ სარგებლობის პირობები“-ს ან/და შემდგომში დადგენილი სხვა პირობების შესაბამისად.

19<sup>2</sup>.8. ბანკს არ გააჩნია კონტროლის საშუალება Unicard-ის მომსახურებაზე, მათ შორის Unicard-ის ანგარიშზე ქულების დაგროვების, მათი დახარჯვის, შეჩერების, ჩამოწერის ან/და Unicard-ით სარგებლობის პროცესზე, აქედან გამომდინარე ბანკი არ არის პასუხისმგებელი Unicard-ის მიერ



განხორციელებული მომსახურების შედეგად წარმოშობილ უზუსტობებზე, კლიენტისათვის ან/და მესამე პირებისათვის მიყენებულ ზიანზე/ზარალზე, აგრეთვე Unicard-ის ვებ-გვერდზე (<http://www.unicard.ge>) არსებული ინფორმაციის (მათ შორის „უნივერსალური

დაგროვებითი ბარათით „უნიქარდით“ სარგებლობის პირობების“ ან/და Unicard-ის ვებ-გვერდის დომენის) სისწორეზე, ცვლილებებზე ან/და Unicard-ის მომსახურების შედეგად წარმოშობილ სხვა ხარვეზებზე.

### ნაწილი III

#### 20. საბანკო მომსახურების ტარიფები

20.1. კლიენტის და ბანკის ფინანსური ურთიერთობა სრულად რეგულირდება ბანკის მიერ დადგენილი ტარიფებით.

20.2. კლიენტი ბანკს უხდის საკომისიოს 1.4 პუნქტში აღნიშნული რომელიმე პროდუქტის/მომსახურების ან/და პაკეტ(ებ)ის გამოყენებისას, მათი გამოყენების დროისთვის ბანკის მიერ დადგენილი ტარიფების შესაბამისად.

20.3. ლიბერთი ანგარიშის პაკეტ(ებ)ის მომსახურების საკომისიოს გადახდა ხორციელდება წინასწარ ყოველთვიურად ან/და წინასწარ ყოველწლიურად.

20.3.1. წინასწარ ყოველთვიურად გადახდის მეთოდის არჩევის შემთხვევაში პირველი საკომისიოს გადახდა ხდება კონკრეტული პაკეტის შექმნის დღეს, ხოლო შემდგომი გადახდები ჩამოიწერება ლიბერთი ანგარიშიდან ყოველი მომდევნო თვის იმავე რიცხვში;

20.3.2. წინასწარ ყოველწლიურად გადახდის მეთოდის არჩევის შემთხვევაში პირველი გადახდა ხდება და მოქმედებს ერთი წლის ვადით. ერთი წლის შემდეგ საკომისიოს გადახდის სქემა ავტომატურად შეიცვლება ყოველთვიურად.

20.4. ბანკი უფლებამოსილია ცალმხრივად შეცვალოს მოქმედი ტარიფები. ბანკის მიერ დადგენილ ტარიფებში ცვლილებების შემთხვევაში, კლიენტს ეცნობება ბანკის საინფორმაციო მასალის საშუალებით.

20.5. ბანკი უფლებამოსილია კლიენტის ლიბერთი ანგარიშიდან უაქცეპტო წესით ჩამოწეროს მომსახურების ტარიფები.

20.6. საბანკო პროდუქტების მომსახურების საკომისიოს ჩამოწერა ხორციელდება კლიენტის ლიბერთი ანგარიშის ლარის ქვე-ანგარიშიდან. თუ ლიბერთი ანგარიშის ლარის ქვე-ანგარიშზე საკომისიოს დასაფარად საკმარისი ნაშთი არ არის,

მაშინ ჩამოწერა მოხდება ლიბერთი ანგარიშში შემავალი სხვა ქვე-ანგარიშებიდან კონვერტაციის გზით კონვერტაციის დღეს ბანკის კომერციული გაცვლითი კურსის შესაბამისად ლიბერთი ანგარიშის ვალუტების პრიორიტეტულობის გათვალისწინებით.

20.7. ბანკის პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად კლიენტისთვის შეთავაზებული ერთობლივი მომსახურების/პროდუქტების ტარიფები განისაზღვრება ცალმხრივად ამ ორგანიზაციების მიერ.

20.8. კლიენტს შეუძლია გამოიყენოს ერთი ან რამდენიმე სატარიფო პაკეტი, რომლის დამტკიცება ხდება კლიენტის მიერ მიწოდებული განაცხადის საფუძველზე, რომელიც იმავდროულად წარმოადგენს თანხმობას სატარიფო პაკეტში ჩამოთვლილი მომსახურებით სარგებლობაზე.

20.9. კლიენტის მიერ სატარიფო პაკეტის ან/და მომსახურების პროდუქტის შექმნის შემდეგ პაკეტზე ან/და პაკეტით გათვალისწინებულ მომსახურებაზე/პროდუქტზე უარის თქმის შემთხვევაში კლიენტს გადახდილი თანხა არ დაუბრუნდება.

20.10. კლიენტის და რომელიმე მომსახურების ან სატარიფო პაკეტის საკომისიოს გადაუხდელობა ბანკს ანიჭებს უფლებას შეუჩეროს ან შეუწყვიტოს წინამდებარე პირობებით განსაზღვრული სხვა მომსახურება ან სატარიფო პაკეტით სარგებლობის უფლება.

20.11. თუ პაკეტ(ებ)ის მომსახურების ტარიფ(ებ)ის (საკომისიო) გადახდის თარიღი ემთხვევა არასაბანკო დღეს, საკომისიოს ჩამოწერა (გადახდა) მოხდება მომდევნო საბანკო დღეს.

20.12. თუ პაკეტ(ებ)ის მომსახურების ტარიფ(ებ)ის (საკომისიო) გადახდის თარიღი ემთხვევა კალენდარული თვის ბოლო დღეს, ბანკი მომსახურების ტარიფ(ებ)ის ჩამოწერას



განახორციელებს კალენდარული თვის ბოლო საბანკო დღეს.

20.13. კლიენტს პაკეტ(ებ)ის მომსახურების ტარიფ(ებ)ის ყოველთვიური გადახდის სქემით სარგებლობის შემთხვევაში უფლება აქვს ნებისმიერ დროს შეცვალოს გადახდის სქემა და ისარგებლოს პაკეტ(ებ)ის მომსახურების ტარიფ(ებ)ის ყოველწლიური გადახდის სქემით.

20.14. საბანკო პაკეტის ყოველთვიური საკომისიოს გადაუხდელობის შემთხვევაში, ბანკი მოახდენს საკომისიოს აკუმულირებას დავალიანების სახით, რომლის დაფარვაც მოხდება კლიენტის ლიბერთი ანგარიშიდან თანხის ჩამოწერის გზით მასზე ხელმისაწვდომი ნაშთის გაჩენისთანავე.

20.15. დამატებითი პაკეტ(ებ)ის მომსახურების საკომისიოს გადაუხდელობის შემთხვევაში არ მოხდება ყოველთვიურად მისაღები საკომისიოს აკუმულირება.

20.16. იმ შემთხვევაში, თუ კლიენტმა პაკეტ(ებ)ის საკომისიოს გადახდის დღეს არ გადაიხადა დამატებითი პაკეტ(ებ)ის მომდევნო თვის საკომისიო, მას 3 (სამი) დღის განმავლობაში შესაძლებლობა ექნება დაფაროს აღნიშნული საკომისიო, წინააღმდეგ შემთხვევაში, საბანკო პაკეტის ყოველთვიურ საკომისიოს დაემატება დამატებითი პაკეტების ერთჯერადი საჯარიმო საკომისიო, რომლის დაფარვაც მოხდება ლიბერთი ანგარიშიდან დავალიანების თანხის ჩამოწერით ანგარიშზე თანხის გაჩენისთანავე.

20.17. ერთჯერადი საჯარიმო საკომისიოს ოდენობა განისაზღვრება წინამდებარე პირობების დანართებით #2 ან #3, გარემოებებიდან გამომდინარე.

20.18. დამატებითი პაკეტ(ებ)ის ერთჯერადი საჯარიმო საკომისიო ვრცელდება ყველა პაკეტის საკომისიოს გადახდაზე ცალკე და დამოკიდებულია კლიენტის მიერ შეძენილი დამატებითი პაკეტების რაოდენობაზე.

20.19. პაკეტ(ებ)ის მომსახურების საკომისიოს დავალიანების დაფარვის შემდეგ კლიენტს მომდევნო თვიდან აღუდგება პაკეტური ყოველთვიური საკომისიო.

20.20. ლიბერთი ანგარიშის პაკეტ(ებ)ის მომსახურების საკომისიო(ებ)ის ერთი წლის განმავლობაში გადაუხდელობის შემთხვევაში, ბანკი

უფლებამოსილია შეწყვიტოს დავალიანების აკუმულირება.

20.21. პაკეტ(ებ)ის მომსახურების საკომისიოს დავალიანების დაფარვის შემდეგ კლიენტს აღუდგება სტანდარტული ყოველთვიური საპაკეტო ტარიფი, როგორც საბანკო ასევე დამატებითი პაკეტ(ებ)ზე.

20.22. კლიენტის მიერ ბანკის მიმართ დავალიანების არსებობის შემთხვევაში პირველ რიგში ხდება ბანკის მიერ კლიენტის ქვე-ანგარიშ(ებ)იდან თანხის ჩამოწერა დავალიანების დასაფარად. მხოლოდ ამის შემდეგ აქვს კლიენტს უფლება განკარგოს დარჩენილი თანხა საკუთარი შეხედულებისამებრ.

20.23. კლიენტის მიერ ბანკის მიმართ არსებული დავალიანებისას, გადასახდელი თანხა იფარება შემდეგი თანმიმდევრობით:

20.23.1. საკრედიტო ბარათის დავალიანება (საკრედიტო ლიმიტის გახარჯვის პროცენტი, ვადაგადაცილების საჯარიმო პროცენტი, ვადაგადაცილების ფიქსირებული პირგასამტეხლო(ები), გადახარჯული საკრედიტო ლიმიტი, საპროცენტო განაკვეთი, დავალიანების ძირითადი თანხა)(არსებობის შემთხვევაში);

20.23.2. კლიენტის სხვა საკრედიტო დავალიანება (არსებობის შემთხვევაში);

20.23.3. ოვერდრაფტის პროცენტი;

20.23.4. თანხის გადახარჯვის (ოვერლიმიტის) პროცენტი (არსებობის შემთხვევაში);

20.23.5. დამატებითი პაკეტების ერთჯერადი საჯარიმო საკომისიო (არსებობის შემთხვევაში);

20.23.6. პაკეტების (საბანკო და დამატებითი) მომსახურების გადასახადი (არსებობის შემთხვევაში);

20.23.7. კლიენტის მიერ ბანკის წინაშე არსებული სხვა დავალიანება (არსებობის შემთხვევაში);

20.24. ბანკი უფლებამოსილია ნებისმიერ კონკრეტულ შემთხვევაში განსაზღვროს კლიენტის მიერ ბანკის მიმართ არსებული დავალიანების დაფარვის თანმიმდევრობა.

20.25. ლიბერთი ანგარიშზე გადაუხდელი მომსახურების საკომისიოს წარმოშობისთანავე კლიენტს გაეგზავნება მოკლე ტექსტური შეტყობინება მის მიერ ბანკში წინასწარ დაფიქსირებულ ნომერზე, რომელიც შეახსენებს მას

ბანკისადმი არსებული დავალიანების გადახდის აუცილებლობის შესახებ.

**21. პასუხისმგებლობის შეზღუდვა**

21.1. იმის გათვალისწინებით, რომ ბანკი მოქმედებს კლიენტის დავალებით საბანკო მომსახურების გაწევისას კლიენტი აცხადებს თანხმობას იმის შესახებ, რომ აუნაზღაურებს და დაიცავს ბანკს ზიანისგან, ზარალისგან, სასამართლო ხარჯებისგან, კლიენტის ან მესამე მხარის მიერ (რაც ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე მოიცავს დამატებითი ბარათის მფლობელებს) წამოწყებული საჩივრისგან, ქმედებისგან ან სასამართლოში წარდგენილი საჩივრისგან, სარჩელისგან ან განაცხადისგან ასევე კლიენტი აუნაზღაურებს და დაიცავს ბანკს ისეთი ზიანისგან, რომელიც წარმოიშვა საბანკო მომსახურების გამოყენების შედეგად, ან ისეთი ზიანისგან, რომელიც წარმოიქმნა საბანკო მომსახურების მეშვეობით განხორციელებული ოპერაციის შედეგად; კლიენტი აღიარებს, რომ აღნიშნული ოპერაციები განხორციელდება ბანკის მიერ მიღებული დავალებების და ავტორიზაციის შესაბამისად ამ პირობების მიხედვით და სხვა შესაბამისი განსაკუთრებული პირობების, ხელშეკრულებების, კონტრაქტების ან მსგავსი ინსტრუმენტების მიხედვით. კლიენტი აგრეთვე აცხადებს თანხმობას და ადასტურებს, რომ ზარალის ანაზღაურების პირობები ძალაში დარჩება და კლიენტისთვის მავალდებულებელი იურიდიული ძალა ექნება იმ შემთხვევაშიც კი, თუ მოხდება საბანკო მომსახურების ნაწილობრივ ან მთლიანად გაუქმება.

21.2. კლიენტი აცხადებს და თანახმაა, რომ მას შესაძლოა მოუწიოს ზარალის ანაზღაურების შესახებ დამატებითი ხელშეკრულებების, განცხადებების ან სხვა მსგავს დოკუმენტზე ხელმოწერა და მათი/მისი შესრულება, განსაკუთრებით კი ისეთ ოპერაციებთან დაკავშირებით, რომლებიც წვდომის კოდ(ებ)ის გამოყენებით განხორციელდა. ამგვარი დამატებითი ხელშეკრულებები, განცხადებები და მსგავსი საშუალებები დაემატება და არ გამორიცხავს აქ მოყვანილ პირობებს ზარალის ანაზღაურების შესახებ.

21.3. ამ ხელშეკრულების პირობების მიუხედავად, ბანკი არ იქნება პასუხისმგებელი კლიენტის წინაშე

ისეთ ზარალზე ან ზიანზე, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ წარმოიშვა საბანკო მომსახურებასთან დაკავშირებით. ასევე გამორიცხულია ბანკის პასუხისმგებლობა ნებისმიერ ზარალზე ან ზიანზე, მოგების, ბიზნესის, შემოსავლის ან დაგეგმილი დანაზოგების დაკარგვაზე, რომელიც დაკავშირებულია ხელშეკრულებაში განსაზღვრულ საბანკო მომსახურებებთან.

21.4. ზემოაღნიშნული დებულებები ზარალის ანაზღაურების და ვალდებულებების შეზღუდვის შესახებ გავრცელდება ბანკის აღმასრულებელ პირებზე, დირექტორებზე, თანამშრომლებზე, წარმომადგენლებსა და აგენტებზეც, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ზარალი გამოწვეულია ბანკის ან ზემოაღნიშნული პირების დაუდევრობით, სამსახურებრივი გულგრილობით ან გამიზნული ქმედებით ან ამ ხელშეკრულების პირობების დარღვევით (ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე მოიცავს ამ პირობების დარღვევას).

21.5. დისტანციური საბანკო მომსახურების გამოყენებისას კლიენტი პასუხისმგებელია ყველა დავალებაზე, რომელსაც იგი გასცემს ბანკზე სპეციალური უსაფრთხოების პროცედურების გავლის შემდეგ, იმ მომენტამდე, სანამ იგი არ შეწყვეტს საბანკო მომსახურებით სარგებლობას. აღნიშნული გულისხმობს პასუხისმგებლობას დავალებაზე ან აღნიშნული დავალების შევსებისას დაშვებულ ნებისმიერ შეცდომაზე, რომელიც გაგზავნილი იყო მესამე პირის მიერ. კლიენტმა არ უნდა დატოვოს დისტანციურ საბანკო მომსახურებასთან დასაკავშირებელი მოწყობილობა უყურადღებოდ.

21.6. კლიენტი პასუხისმგებელი იქნება ნებისმიერ ოპერაციაზე, რომელსაც იგი განახორციელებს საბანკო მომსახურებით აღნიშნული მომსახურების გამოყენების ვადის გასვლის შემდეგ.

21.7. ბანკი არ იქნება პასუხისმგებელი კლიენტის წინაშე, თუ: ბანკს არ მიუღია კლიენტის მიერ გაგზავნილი დავალებ(ებ)ი; კლიენტმა ბანკს მიაწოდა არასწორი ან არასრული ინფორმაცია; კლიენტსა და ბანკს შორის ინტერნეტით კავშირში ჩაერთო მესამე მხარე.

21.8. ამ მუხლში აღნიშნული პირობები ძალაში დარჩება საბანკო მომსახურების შეწყვეტის



შემთხვევაშიც, სანამ მხარეები ერთმანეთის წინაშე ბოლომდე არ შეასრულებენ ხელშეკრულებიდან წარმოშობილ ვალდებულებებს.

**22. გადასახადები**

22.1. კლიენტი თავად არის პასუხისმგებელი სახელმწიფო თუ სხვა ორგანოსთვის საგადასახადო განაცხადის შეტანაზე ამ პირობების (ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე მოიცავს ინტერნეტ-ბანკით მომსახურების პირობებს) შესაბამისად. კლიენტი აგრეთვე თავად არის პასუხისმგებელი გადაიხადოს ნებისმიერი გადაუხდელი გადასახადი (ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე მოიცავს დამატებული ღირებულების გადასახადს), ბეგარა, საბაჟო გადასახადი, რომელიც შეიძლება დაწესდეს ნებისმიერ ვალდებულებაზე, რომელიც შეიძლება წარმოიშვას ანგარიშ(ებ)ის მართვასთან ან წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული ნებისმიერ ან ყველა საბანკო მომსახურებასთან მიმართებაში (ერთად, "საგადასახადო ვალდებულება"); ამასთანავე, ბანკი თავად იქნება პასუხისმგებელი ნებისმიერი გადასახადის გადახდაზე ან ვალდებულებაზე, რომელიც დაკავშირებულია კლიენტისგან მიღებულ საკომისიო თანხასთან. თუ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულია, რომ ნებისმიერი ვალდებულების გადახდა შესაძლებელია თანხების დაკავებით, ბანკი ან/და ნებისმიერი შვილობილი/აფილირებული კომპანია ამგვარი თანხის გადახდას ან ჩამოწერას კლიენტის ხარჯზე მოახდენს იმის გათვალისწინებით, რომ ბანკი კლიენტს გაუგზავნის შესაბამის შეტყობინებას. თუ კანონის შესაბამისად ბანკს ეკისრება რაიმე გადასახადი ან ჯარიმა კლიენტის საგადასახადო ვალდებულების გამო, კლიენტი დაუყოვნებლივ აუნაზღაურებს ბანკს ყველა ამგვარ ვალდებულებას იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ამგვარი გადასახადის ან ჯარიმის დაწესება გამოწვეულია ბანკის რომელიმე ქვედანაყოფის დაუდევრობით, სამსახურებრივი გულგრილობით ან გამიზნული ქმედებით.

22.2. ბანკი ვალდებულია შესაბამისობაში იყოს მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობით და საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან. საქართველოს კანონმდებლობასთან

ერთად კლიენტმა უნდა დააკმაყოფილოს სხვა შესაბამისი ქვეყნის საკანონმდებლო მოთხოვნები (მოიცავს იმ ქვეყნის კანონმდებლობას, რომლის მოქალაქეც არის კლიენტი ან რომელ ქვეყანაშიც ცხოვრობს).

**23. ძალაში შესვლის თარიღი და ვადა**

23.1. ეს პირობები ძალაში შევა მას შემდეგ, რაც კლიენტი შეავსებს შესაბამის განაცხადს, ხელს მოაწერს და ჩააბარებს ბანკს და მას დაეთანხმება ბანკი. ბანკის თანხმობა გამოიხატება კლიენტისთვის შესაბამისი საბანკო მომსახურების გაწევის დაწყებით.

23.2. ძალაში შევა პირობების მხოლოდ ის ნაწილები, რომლებიც შეეხება კლიენტის მიერ განაცხადში მითითებულ მომსახურებას და მათთან ერთად პირობების I და III ნაწილები.

23.3. პირობები ძალაშია პროდუქტის/მომსახურების ან/და პაკეტის მოქმედების ვადით და მოქმედებს მის შეწყვეტამდე ამ პირობებით განსაზღვრული წესის შესაბამისად.

23.4. პროდუქტის/მომსახურების ან პაკეტის მოქმედების შეწყვეტის შემდეგ მისი მოქმედების განახლების შემთხვევაში პროდუქტზე/მომსახურებაზე ან/და პაკეტზე გავრცელდება წინამდებარე პირობები, ყოველგვარი დამატებითი შეთანხმების გარეშე.

23.5. თუ ბანკი ან/და კლიენტი გადაწყვეტენ შეწყვიტონ ზოგიერთი სახის საბანკო პროდუქტით მომსახურება, შეწყვეტის შესახებ შეთანხმება ძალაში იქნება მხოლოდ მითითებულ მომსახურებასთან დაკავშირებით.

23.6. ბანკს უფლება აქვს შეწყვიტოს მთლიანი ხელშეკრულება ნებისმიერ დროს. ასეთ შემთხვევაში ბანკი კლიენტს გაუგზავნის შესაბამის შეტყობინებას, ხელშეკრულების შეწყვეტამდე სულ მცირე 30 (ოცდაათი) კალენდარული დღით ადრე.

23.7. თუ კლიენტი დაარღვევს ხელშეკრულების მნიშვნელოვან პირობას ან მის გადახდისუნარიანობას შეექმნება საფრთხე, ბანკი შესაბამისი შეტყობინების გაგზავნით უარს განუცხადებს კლიენტს მომსახურების გაწევაზე და გააუქმებს ხელშეკრულებას, ბარათ(ებ)ს, დახურავს კლიენტის ანგარიშ(ებ)ს, გააუქმებს ამ ხელშეკრულებით განსაზღვრულ საბანკო



მომსახურებას (ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე მოიცავს დისტანციურ საბანკო მომსახურებას) და მოითხოვს კლიენტის მიერ ბანკის წინაშე არსებული დავალიანების სრულად დაფარვას.

23.8. კლიენტის მიერ ბანკის ლიბერტი ანგარიშით მომსახურების შეწყვეტის ან ამ ანგარიშის დახურვის შემთხვევაში ბანკი უფლებამოსილია შეუწყვიტოს კლიენტს წინამდებარე პირობებით განსაზღვრული ნებისმიერი ან ყველა მომსახურება.

23.9. კლიენტს უფლება აქვს ნებისმიერ დროს გააუქმოს ხელშეკრულება ბანკისთვის წერილობითი შეტყობინების გაგზავნით. კლიენტი აცნობიერებს და თანახმაა, რომ ხელშეკრულება არ შეწყდება მანამ, სანამ კლიენტი არ შეწყვეტს ისეთ განგრძობად ოპერაციებსაც (რაც შეზღუდვის გარეშე მოიცავს მუდმივ საგადასახადო დავალებას, ავტომატურ კომუნალურ გადახდებს, განმეორებად ოპერაციებს და განგრძობად ავტორიზაციას, რომელიც კლიენტმა გასცა საქონლის ან მომსახურების მომწოდებელზე და რაც გულისხმობს მისი უნივერსალური ანგარიშიდან თანხის რეგულარულად ჩამოწერას), რომლებიც კლიენტის დავალების საფუძველზე ხორციელდება მისივე ანგარიშ(ებ)იდან.

23.10. თუ რომელიმე მხარე გადაწყვეტს ხელშეკრულების შეწყვეტას, მაშინ: ყველა ბარათი, რომელიც ბანკმა გასცა კლიენტზე ან დამატებითი ბარათის მფლობელ(ებ)ზე, უნდა დაუბრუნდეს ბანკს; ყველა კოდი გაუქმდეს; კლიენტმა ბანკს უნდა გადაუხადოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა გადასახდელი თანხა.

**24. მარეგულირებელი კანონმდებლობა და დავების გადაწყვეტა**

24.1. წინამდებარე პირობები რეგულირდება და განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

24.2. ნებისმიერი დავა, წინააღმდეგობა ან საჩივარი, რომელიც წარმოიშობა ან შეეხება ამ პირობებს ან ამ პირობების ნებისმიერ დარღვევას, მოგვარდება მხარეებს შორის მოლაპარაკების საფუძველზე.

24.3. თუ მხარეები შეთანხმებას ვერ მიაღწევენ მოლაპარაკების გზით, ისინი უპირობოდ თანახმა არიან, შეიტანონ საჩივარი სასამართლოში ბანკის იურდიული მისამართის შესაბამისად.

**25. კონფიდენციალურობა და პირადი ინფორმაცია**

25.1. მხარეები ვალდებული არიან გაუფრთხილდნენ ერთმანეთის რეპუტაციას, დაიცვან ერთმანეთის შესახებ ინფორმაციის (პირობების) საიდუმლოება, გარდა წინამდებარე პირობებით ან მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

25.2. ბანკს უფლება აქვს გადასცეს ან/და გაუმჟღავნოს ბანკის ხელთ არსებული ინფორმაცია კლიენტის შესახებ, კლიენტის მიერ განხორციელებული ოპერაციების შესახებ კლიენტის მიერ ნებარდართულ პირებს, ბანკის შვილობილ და მონათესავე საწარმოებს, ბანკის მომწოდებლებს.

25.3. კლიენტის ლიბერტი ანგარიშის სათანადოდ ადმინისტრირების და მომსახურების მიზნით, ბანკს უფლება აქვს ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე მიიღოს ინფორმაცია კლიენტის მიერ ნებისმიერი საშუალებით განხორციელებული ოპერაციების შესახებ.

25.4. ბანკს უფლება აქვს, რაზედაც კლიენტი აცხადებს უპირობო თანხმობას, გამოიყენოს ინფორმაცია კლიენტის მიერ საბანკო მომსახურებით სარგებლობის შესახებ და გადასცეს აღნიშნული ინფორმაცია ბანკის შვილობილ და მონათესავე საწარმოებს მათ მიერ სხვადასხვა მომსახურების შემოთავაზებების მიზნით. აღნიშნული ინფორმაცია ბანკის მიერ მოპოვებული იქნება სხვადასხვა წყაროებიდან, რაც ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე მოიცავს კლიენტის მიერ შევსებულ განაცხად(ებ)ს, კლიენტის მიერ განხორციელებული საბანკო ოპერაციებიდან, გამოკითხვებიდან და კვლევებიდან (რომელიც მოიცავს კლიენტთან დაკავშირებას ელექტრონული ფოსტის, ინტერნეტის, ტელეფონის ან სხვა საშუალებით), და ასევე სხვა გარე წყაროებიდან მიღებულ ინფორმაციას, რაც ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე მოიცავს, სავაჭრო და მომსახურების ობიექტებს და მარკეტინგულ ორგანიზაციებს.

25.5. კლიენტი ანიჭებს ბანკს უფლებამოსილებას, ბანკში დაფიქსირებულ კლიენტის ტელეფონის ნომერზე, ბანკის მიერ განსაზღვრული პერიოდულობით, განხორციელდეს მოკლე ტექსტური ან/და ხმოვანი შეტყობინებების გაგზავნა, მანამ სანამ ბანკი კლიენტისგან არ მიიღებს სხვაგვარ წერილობით მითითებას.

25.6. ბანკის მიერ წინამდებარე თავში აღნიშნული ინფორმაციის შენახვა მოხდება იმ ვადით, რომელიც შეესაბამება ბანკის მიზნებს და ინტერესებს ან/და გათვალისწინებულია საქართველოს კანონმდებლობით. კლიენტის მოთხოვნის შემთხვევაში ბანკი საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ფარგლებში მიაწვდის კლიენტის შესახებ ბანკში არსებულ ინფორმაციას. აღნიშნული ინფორმაციის მიღებაზე ბანკს ცალმხრივად აქვს უფლება დააწესოს მომსახურების ტარიფი საკომისიოს სახით.

25.7. თუ კლიენტი თვლის, რომ კლიენტის შესახებ ბანკში არსებული ინფორმაცია არ შეესაბამება სინამდვილეს ან არ არის სრული, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ წერილობით აცნობოს აღნიშნულის შესახებ.

25.8. კლიენტი ბანკს ანიჭებს უპირობო უფლებას, მისი დამატებითი წინასწარი ან შემდგომი თანხმობის გარეშე:

25.8.1. საკუთარი შეხედულებისამებრ განსაზღვრული და სს „კრედიტინფო საქართველოსთან“ (საიდენტიფიკაციო კოდი: 204470740) შეთანხმებული წესით, ფორმით და ვადებში სს კრედიტინფო საქართველოს“ მიაწოდოს ინფორმაცია კლიენტის ან/და ნებისმიერი დამატებითი ბარათის მფლობელის შესახებ, რომელიც ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე, მოიცავს: კლიენტის ან/და ნებისმიერი დამატებითი ბარათის მფლობელის საიდენტიფიკაციო მონაცემებს, მიმდინარე ვალის წარმოშობის საფუძველს, მოცულობას, მიზნობრიობას, დარიცხულ პროცენტს, მოქმედების ვადას, კლიენტის ან/და ნებისმიერი დამატებითი ბარათის მფლობელის მიერ დავალიანებასთან დაკავშირებული გადახდების დროულობას, დავალიანების ნაშთს, ხოლო სასამართლო/საარბიტრაჟო დავის არსებობის შემთხვევაში სასამართლო/საარბიტრაჟო სამართალწარმოების და სააღსრულებო წარმოების შედეგებს;

25.8.2. მისცეს თანხმობა სს „კრედიტინფო საქართველოს“, რომ ბანკის მიერ სს „კრედიტინფო საქართველოსათვის“ მიწოდებული კლიენტების ან/და ნებისმიერი დამატებითი ბარათის მფლობელების მონაცემები ს.ს. „კრედიტინფო

საქართველომ“ გადასცეს მესამე პირებს, იმ პირობით, რომ ბანკის მიერ მიწოდებული კლიენტის ან ნებისმიერი დამატებითი ბარათის მფლობელის მონაცემების მიწოდება მოხდება იმ პირობისთვის, რომლებიც თავადაც აწვდიან სს „კრედიტინფო საქართველოს“ აღნიშნული ხასიათის მონაცემებს და რომელთაც გაფორმებული აქვთ შესაბამისი ხელშეკრულება სს „კრედიტინფო საქართველოსთან“;

25.8.3. მოიძიოს, მიიღოს და გამოიყენოს სს „კრედიტინფო საქართველოს“ მონაცემთა ბაზაში არსებული კლიენტის ან/და ნებისმიერი დამატებითი ბარათის მფლობელის მონაცემები.

## 26. დასკვნითი დებულებები

26.1. ბანკის წინასწარი შეტყობინების გარეშე კლიენტი უპირობოდ აცხადებს თანხმობას, რომ ბანკს ნებისმიერ დროს შეუძლია დაუთმოს, გაყიდოს ან გადასცეს წინამდებარე პირობებით განსაზღვრული უფლებები, მოვალეობები და სარგებელი სხვა მესამე პირს.

26.2. იმ შემთხვევაში თუ ბანკი გამოიყენებს 26.1. პუნქტში მითითებულ უფლებას ან დააპირებს ამ უფლების გამოყენებას, კლიენტი თანხმობას აძლევს ბანკს ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე გადასცეს კლიენტის ან/და კლიენტის ანგარიშის შესახებ ინფორმაცია სხვა მესამე პირს ან მასთან დაკავშირებულ პირს. აღნიშნული არ მოახდენს ზეგავლენას კლიენტის კანონის მიერ უფლებებზე.

26.3. თუ წინამდებარე პირობების რომელიმე პუნქტი ან მისი ნაწილი რაიმე მიზეზით იქნა გაუქმებული, ბათილად ცნობილი ან შეწყვეტილი, აღნიშნული პუნქტი ან მისი ნაწილი აღარ იქნება გამოყენებული, რაც არ იქონიებს გავლენას პირობების დანარჩენი პუნქტების იურიდიულ ძალაზე.

26.4. წინამდებარე პირობებში აღნიშნული სათაურები გამოიყენება მხოლოდ მოხერხებულობისთვის და არ აქვს ზეგავლენა ხელშეკრულების პირობების განმარტებასა და ინტერპრეტაციაზე.

26.5. ბანკს უფლება აქვს ცალმხრივად შეიტანოს ცვლილებები ამ პირობების ტექსტში და აღნიშნულის შესახებ აცნობოს კლიენტს ბანკის



საინფორმაციო საშუალებების (ვებ-გვერდის, ელექტრონული ფოსტის და ა.შ) მეშვეობით.

26.6. კლიენტის მიერ ბანკიდან ელექტრონული სახით მიღებულ ნებისმიერ შეტყობინებას აქვს წერილობითი ფორმით მიღებული შეტყობინების ძალა.

26.7. ბანკი არ არის პასუხისმგებელი კლიენტის მიერ შეტყობინებების მიუღებლობაზე, თუკი იგი გაგზავნილი იქნა იმ მისამართზე ან იმ საკონტაქტო მონაცემების საფუძველზე, რომელიც კლიენტის მიერ წინასწარ არის მითითებული.

26.8. კლიენტი ვალდებულია ბანკის მოთხოვნის შემთხვევაში მიაწოდოს მას ბანკის მიერ მოთხოვნილი ნებისმიერი დამატებითი ინფორმაცია და ასევე წარმოადგინოს შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტები, რომლებიც მოთხოვნილი იქნება ბანკის მიერ ან განსაზღვრულია საქართველოს კანონმდებლობით.

26.9. თუ წინამდებარე პირობებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, ნებისმიერი შეტყობინება ხორციელდება წერილობითი ფორმით.

26.10. ბანკის მიერ საკუთარი უფლებების განხორციელების გადავადება (რაც მოიცავს გარანტიების დარღვევის და შეუსრულებლობის

შედეგად წარმოშობილ უფლებებსაც) არ ნიშნავს იმას, რომ ბანკი უარს ამბობს თავის უფლებებზე; აგრეთვე ნებისმიერი უფლების ნაწილობრივ ან სრულად გამოუყენებლობა არ ნიშნავს მომავალში ამ უფლების სრულად გამოყენებაზე უარის თქმას.

26.11. წინამდებარე პირობების ყველა დანართი ამ ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილია.

26.12. წინამდებარე პირობებს ენიჭება უპირატესი ძალა მხარეთა შორის აქამდე იგივე საგანზე გაფორმებულ ნებისმიერ შეთანხმებასა და ხელშეკრულებასთან შედარებით.

26.13. ხელშეკრულება სავალდებულო იქნება და შესაბამისი იურიდიული ძალა ექნება მხარეების შესაბამისი მემკვიდრეების და უფლებამონაცვლეების სასარგებლოდ იმ შემთხვევების გარდა, როდესაც კლიენტი არ ნიშნავს უფლებამონაცვლეს ან სხვაგვარად არ გადასცემს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ უფლებებს და ვალდებულებებს ბანკისთვის (ან/და ჯგუფის კომპანიებისთვის ან ნებისმიერი სხვა მხარისთვის, რომელთანაც კლიენტს გაფორმებული აქვს ხელშეკრულება ამ პირობების შესაბამისად) წინასწარი შეტყობინების გაგზავნით.

26.14. პირობები შედგენილია ქათულ ენაზე.

**დანართი 1**

**ლიბერთი ანგარიშის პაკეტების აღწერილობა**

1. **ლიბერთი ანგარიშის პაკეტების სტრუქტურა და მათი შექმნის პირობები**
    - 1.1. თავდაპირველად კლიენტმა უნდა შეიძინოს ლიბერთი ანგარიშის საბაზისო პაკეტი, - შემდეგ კლიენტს შეუძლია მისი სურვილისამებრ ლიბერთი ანგარიშის დამატებითი პაკეტების შექმნა.
    - 1.2. ლიბერთი ანგარიშის საბაზისო პაკეტში შემავალი პროდუქტები:
      - o მულტისავეალუტო ანგარიში;
      - o ლიბერთი ქარდი - მაგნიტური ზოლით ჩიპის გარეშე (VISA Classic-ის ტიპის საბანკო ბარათი);
      - o SMS ბანკი<sup>1</sup>;
      - o ინტერნეტ ბანკი<sup>1</sup>;
      - o სტანდარტული Sმარტივი ბარათი (8 ნიშნა - მობილური ტელეფონის ნომრის ბოლო 8 ციფრი)<sup>1</sup>;
      - o ანაბარი პატრიოტი<sup>1</sup>;
      - o eMoney ელექტრონული საფულე;
      - o Unicard-ის ქულების დაგროვება.
    - 1.3. ლიბერთი ანგარიშის დამატებითი პაკეტები და მათში შემავალი პროდუქტები:
      - პაკეტი კომფორტი / COMFORT:
        - o ავტომატური გადარიცხვა / Standing Order;
        - o ავტომატური გადახდები / Direct Debit;
        - o ყოველთვიური ამონაწერი;
        - o VISA Classic-ის ან MasterCard Standard-ის ტიპის საბანკო ბარათი მიკრო ჩიპით (EMV).
      - პაკეტი შენი სტილი / LIFESTYLE:
        - o ფასდაკლების ქსელი;
        - o VISA P2P საბარათე გადარიცხვების მომსახურება 25%-იანი ფასდაკლებით;
        - o უკონტაქტო ვიზა ლიბერთი ქარდი / Liberty Card VISA Paywave;
        - o Gift Card (სასაჩუქრე ბარათი).
      - პაკეტი მოგზაური / TRAVELLER:
        - o ფრაიორითი თრეველერი / Priority Traveller;
        - o ფრაიორითი ფასი / Priority Pass;
        - o სიმ ბარათი როუმინგის ფუნქციით;
        - o უკონტაქტო ვიზა ლიბერთი ქარდი / Liberty Card VISA Paywave.
      - პაკეტი ექსტრა / XTRA:
        - o 0.50%-იანი დანამატი მ7 ანაბრის წლიურ საპროცენტო განაკვეთზე;
        - o 4.00%-იანი ფასდაკლება Magic Card-ის წლიური საპროცენტო განაკვეთიდან;
        - o ლიბერთი ანგარიშზე სარგებლის დარიცხვა.
  - 1.4. ლიბერთი ანგარიშის საბაზისო პაკეტთან ერთად შესაძლებელია დამატებითი პაკეტების: კომფორტის, შენი სტილის და მოგზაურის ნებისმიერი კომბინაციით შექმნა.
  - 1.5. დამატებით პაკეტებში (კომფორტი, შენი სტილი და მოგზაური) შემავალი ნებისმიერი პროდუქტ(ებ)ის / სერვის(ებ)ის შექმნა შესაძლებელია საცალო ტარიფების მიხედვით.
  - 1.6. ლიბერთი ანგარიშის საბაზისო პაკეტის შექმნის გარეშე შეუძლებელია დამატებითი პაკეტ(ებ)ის ან/და დამატებით პაკეტებში შემავალი პროდუქტ(ებ)ის / სერვის(ებ)ის შექმნა საცალო ტარიფით.
  - 1.7. ექსტრა პაკეტის შექმნა შესაძლებელია მხოლოდ ყველა არსებული პაკეტის შექმნის შემდეგ.
  - 1.8. ექსტრა პაკეტში შემავალი სერვისების შექმნა საცალო ტარიფებად (არაპაკეტურად) შეუძლებელია.
  - 1.9. ექსტრა პაკეტის შექმნისას, კლიენტი ხდება ლიბერთი ბანკის პირადი ბანკირის სამსახურის კლიენტი. ასეთ შემთხვევაში, კლიენტის მომსახურების პირობები და ტარიფები იცვლება.
  - 1.10. ექსტრა პაკეტის შექმნის შემთხვევაში პირადი ბანკირის სამსახური, პაკეტის შექმნიდან 24 საათის განმავლობაში უკავშირდება კლიენტს ახალი მომსახურების პირობების შეთავაზების მიზნით.
2. **ლიბერთი ანგარიშის პაკეტების განსაკუთრებული პირობები**
  - 2.1. ლიბერთი ანგარიშის მფლობელს გადაეცემა მხოლოდ ერთი ლიბერთი ქარდი, მიუხედავად იმისა, თუ რამდენი პაკეტით ისარგებლებს.
  - 2.2. ლიბერთი ანგარიშის დამატებითი პაკეტის ან საცალო ფასად განსხვავებული ლიბერთი ქარდის შექმნისას გაითვალისწინება ბარათების პრიორიტეტულობა და კლიენტს გადაეცემა / შეუნარჩუნდება უფრო მაღალი პრიორიტეტის მქონე საბანკო ბარათი<sup>2</sup>:
    - პრიორიტეტი №1 - უკონტაქტო ვიზა ლიბერთი ქარდი (Liberty Card VISA Paywave)<sup>3</sup>;

<sup>1</sup>სახელფასო პროგრამაში ჩართული კლიენტებისთვის SMS ბანკი ინტერნეტ ბანკი, სტანდარტული Sმარტივი ბარათი და ანაბარი პატრიოტი გაითვალისწინება პაკეტ კომფორტში

<sup>2</sup> სახელფასო პროგრამაში ჩართული კლიენტებისთვის ყველაზე მაღალ პრიორიტეტულობას წარმოადგენს Liberty Card VISA Gold / MasterCard Gold, ხოლო ყველაზე დაბალს Liberty Card VISA Electron / MasterCard Maestro.

<sup>3</sup> იმ შემთხვევაში, თუ სახელფასო პროგრამაში ჩართულ კლიენტს აქვს Liberty Card VISA Gold / MasterCard Gold და იგი შეიძენს უკონტაქტო ვიზა ლიბერთი ბარათს (Liberty Card VISA Paywave), მას (კლიენტს) შექმნილი ბარათი დაუმზადდება დამატებით.



- პრიორიტეტი №2 - ლიბერთი ქარდი მიკრო ჩიპით (EMV);
- პრიორიტეტი №3 - ლიბერთი ქარდი მაგნიტური ზოლით.
- 2.3. თუ კლიენტის მიერ შეძენილ ორ ან მეტ დამატებით პაკეტში შედის ერთი და იგივე სახეობის პროდუქტი / მომსახურება, კლიენტს გადაეცემა მხოლოდ ერთი ასეთი პროდუქტი / მომსახურება.
- 2.4. პაკეტ კომფორტში შემავალ ავტომატური გადარიცხვების მომსახურებაში გათვალისწინებულია მხოლოდ ერთი ასეთი დავალების (გადარიცხვის) ბანკის მიერ კლიენტისთვის უფასოდ შესრულება. დამატებითი ავტომატური გადარიცხვის დავალების შეძენის სურვილის შემთხვევაში, კლიენტს აღნიშნული მომსახურებისთვის დაეკისრება საცალო ტარიფის გადახდა.
- 2.5. პაკეტ კომფორტში შემავალ ავტომატური გადახდების მომსახურებაში გათვალისწინებულია მხოლოდ ერთი ასეთი დავალების (გადახდის) ბანკის მიერ კლიენტისთვის უფასოდ შესრულება. დამატებითი ავტომატური გადახდის დავალების შეძენის სურვილის შემთხვევაში, კლიენტს აღნიშნული მომსახურებისთვის დაეკისრება საცალო ტარიფის გადახდა. კლიენტს საშუალება აქვს ერთი დავალების ფარგლებში აირჩიოს რამოდენიმე განსხვავებული ტიპის პროვადერი (გადახდის მიმღები).
- 2.6. თუ კლიენტი ლიბერთი ანგარიშის საბაზისო პაკეტის შეძენის დროს ირჩევს დამატებით პაკეტ კომფორტს, რომელშიც გათვალისწინებულია ლიბერთი ქარდი მიკრო ჩიპით, მას (კლიენტს) ასეთ შემთხვევაში დაუმზადდება მხოლოდ ლიბერთი ქარდი მიკრო ჩიპით (ანუ ბარათი გათვალისწინებული საბაზისო პაკეტში დამატებით არ დამზადდება). ხოლო, თუ კლიენტი შეიძენს პაკეტ კომფორტს მას შემდეგ, რაც მას უკვე ექნება შეძენილი ლიბერთი ანგარიშის საბაზისო პაკეტი, მაშინ მას (კლიენტს) დაუმზადდება ახალი ლიბერთი ქარდი მიკრო ჩიპით, ხოლო კლიენტის არსებული საბანკო ბარათი, რომელიც მას გადაეცა საბაზისო პაკეტის შეძენის დროს, გაუქმდება<sup>4</sup>;
- 2.7. თუ კლიენტს გააჩნია უკონტაქტო ვიზა ლიბერთი ქარდი (Liberty Card VISA Paywave) და ის ყიდულობს პაკეტ კომფორტს ან/და

- პაკეტ შენ სტილს, მას (კლიენტს) არ დაუმზადდება დამატებით ლიბერთი ქარდი მიკრო ჩიპით, ანუ პაკეტ კომფორტში ან/და შენ სტილში არ იქნება გათვალისწინებული ლიბერთი ქარდი მიკრო ჩიპით, ხოლო პაკეტის მომსახურების საკომისიო დარჩება უცვლელი.
- 2.8. თუ კლიენტს სურს ლიბერთი ქარდის მიკრო ჩიპით საცალო ტარიფის მიხედვით შექმნა და იგი აღნიშნულ პროდუქტს ყიდულობს ლიბერთი ანგარიშის საბაზისო პაკეტთან ერთად, მაშინ საბაზისო პაკეტში შემავალი ბარათი დაუმზადდება მიკრო ჩიპით, ხოლო კლიენტი დამატებით გადაიხდის მხოლოდ 5 ლარს.
- 2.9. თუ კლიენტს სურს ლიბერთი ქარდის მიკრო ჩიპით დამოუკიდებლად შექმნა და მას უკვე აქვს ლიბერთი ანგარიშის საბაზისო პაკეტი, მაშინ საბაზისო პაკეტში შემავალი ბარათი გაუქმდება და კლიენტს დაუმზადდება ახალი ბარათი მიკრო ჩიპით. ასეთ შემთხვევაში კლიენტი გადაიხდის ლიბერთი ქარდის ტარიფს (40 ლარს) და მიკრო ჩიპის ტარიფს (5 ლარს), სულ 45 ლარს.
- 2.10. თუ კლიენტს ერთდროულად სურს შეიძინოს პაკეტები შენი სტილი და მოგზაური - მას (კლიენტს) დაუმზადდება მხოლოდ ერთი უკონტაქტო ვიზა ლიბერთი ქარდი (Liberty Card VISA Paywave).
- 2.11. თუ კლიენტს სურს შეიძინოს პაკეტი შენი სტილი მაშინ, როდესაც მას უკვე აქვს უკონტაქტო ვიზა ლიბერთი ქარდი (Liberty Card VISA Paywave), კლიენტს დამატებითი უკონტაქტო ვიზა ლიბერთი ქარდი არ დაუმზადდება.
- 2.12. თუ კლიენტს სურს უკონტაქტო ვიზა ლიბერთი ქარდის (Liberty Card VISA Paywave) საცალო ტარიფად შექმნა და იგი ბარათს ყიდულობს ლიბერთი ანგარიშის საბაზისო პაკეტთან ერთად, მაშინ მას (კლიენტს) დაუმზადდება უკონტაქტო ვიზა ლიბერთი ქარდი და კლიენტი გადაიხდის მხოლოდ 15 ლარს.
- 2.13. თუ კლიენტს სურს უკონტაქტო ვიზა ლიბერთი ქარდის (Liberty Card VISA Paywave) საცალოდ შექმნა და მას უკვე აქვს ლიბერთი ანგარიშის საბაზისო პაკეტი, მაშინ კლიენტისთვის საბაზისო პაკეტის ფარგლებში დამზადებული საბანკო ბარათი გაუქმდება და მისთვის დამზადდება ახალი უკონტაქტო ვიზა ლიბერთი ქარდი. ასეთ შემთხვევაში კლიენტი გადაიხდის ლიბერთი ქარდის ტარიფს (40 ლარს) და უკონტაქტო ვიზა ლიბერთი ქარდის ტარიფს (15 ლარს), სულ 55 ლარს.

<sup>4</sup> ბანკის მხრიდან ნებისმიერი საბანკო ბარათის გაუქმება (თუ ბარათს არ გასვლია მოქმედების ვადა), ახალი ბარათის გადაცემის მიზნით, განხორციელდება კლიენტის ბანკში გამოცხადების და ახალი ბარათის გადაცემის შემდეგ.

- 2.14. პაკეტში შენი სტილი შემავალი ერთი Gift Card-ის მოთხოვნა კლიენტს შეუძლია პაკეტის შეძენისას ან მოგვიანებით ნებისმიერ დროს და ამ შემთხვევაში მას (კლიენტს) Gift Card-ი გადაეცემა უფასოდ.
- 2.15. თუ კლიენტს შეძენილი აქვს პაკეტი შენი სტილი და ამავდროულად ერიცხება პაკეტ(ებ)ის საკომისიო დავალიანება, Gift

Card-ის მოთხოვნის შემთხვევაში კლიენტს აღნიშნული სასაჩუქრე ბარათი უფასოდ არ დაუმზადდება არსებული საკომისიო დავალიანების სრულად დაფარვამდე.



**დანართი 2**  
**ლიბერთი ანგარიშის მომსახურების ტარიფები**

ლიბერთი ანგარიშის მომსახურების ტარიფები			
	მომსახურების ტიპი	საგალო ტარიფი	საპაკეტო ტარიფი
1	<b>ლიბერთი ანგარიშის პაკეტები</b>		
	<b>ლიბერთი ანგარიში: პაკეტი საბაზისო</b>		
	- მულტისავალუტო ლიბერთი ანგარიში (GEL, USD, EUR)	-	უფასო
	- ლიბერთი ქარდი (Visa Classic)	-	უფასო
	- SMS ბანკი	-	უფასო
	- ინტერნეტ ბანკი	-	უფასო
	- სტანდარტული Sმარტივი ბარათი (8 ნიშნა - მიბილური ტელეფონი ნიშნის ბოლო 8 ციფრი) <sup>1</sup>	უფასო	უფასო
	- ანაბარი პარტიტი	უფასო	უფასო
	- eMoney საფულე <sup>2</sup>	უფასო	უფასო
	ყოველთვიური წინასწარ	-	2.00 ლარი
	ლიბერთი ანგარიში: პაკეტი კომფორტი		
	- ავტომატური გადარიცხვები <sup>3</sup>	1.00 ლარი ყოველ დავალეზაში	ერთი დავალეზა თვეში უფასოდ
	- ავტომატური გადხდები <sup>4</sup>	1.00 ლარი თვეში	უფასო
	- ყოველთვიური ამონაწერი <sup>5</sup>	1.00 ლარი თვეში	უფასო
- ლიბერთი ქარდი მიკრო ჩიპით (Visa Classic / MasterCard Standard EMV)	საბაზისო პაკეტთან ერთად 5.00 ლარი, ცალკე 45.00 ლარი	უფასო	
ყოველთვიური წინასწარ	-	1.50 ლარი	
ლიბერთი ანგარიში: პაკეტი შენი სტილი			
- ფასდაკლების ქსელი	15.00 ლარი წელიწადში	უფასო	
- VISA P2P საზარათე გადარიცხვების მომსახურება 25%-იანი ფასდაკლებით	15.00 ლარი წელიწადში	უფასო	
- უკონტაქტო ვიზა ლიბერთი ქარდი (Liberty Card Visa Paywave)	საბაზისო პაკეტთან ერთად 15.00 ლარი, ცალკე 55.00 ლარი	უფასო	
- Gift Card	1.50 ლარი	უფასო	
ყოველთვიური წინასწარ	-	1.50 ლარი	
ლიბერთი ანგარიში: პაკეტი მოგზაური			
- ფრაიორითი ტრეველერ / Priority Traveller	50.00 ლარი	უფასო	
- ფრაიორითი ფას / Priority Pass	35.00 ლარი	უფასო	
- სიმ ბარათი როუმინგის ფუნქციით	50.00 ლარი	უფასო	
- უკონტაქტო ვიზა ლიბერთი ქარდი (Liberty Card Visa Paywave)	საბაზისო პაკეტთან ერთად 15.00 ლარი, ცალკე 55.00 ლარი	უფასო	
ყოველთვიური წინასწარ	-	10.00 ლარი	
ლიბერთი ანგარიში: პაკეტი ექსტრა			
- 0.50%-იანი დანამატი 87 ანაბრის წლიურ საპროცენტო განაკვეთზე	-	-	
- 4.00%-იანი ფასდაკლება Magic Card-ის წლიური პროცენტიდან	-	-	
- ლიბერთი ანგარიშზე საპროცენტო სარგებლის დარიცხვა <sup>6</sup>	-	-	
წინასწარ	-	99.00 ლარი	
ლიბერთი ანგარიშის დამატებითი პაკეტების ერთჯერადი საჯარო საკომისიო		2.00 ლარი	
2	<b>მულტისავალუტო ლიბერთი ანგარიშის გახსნა</b>		
	3 სტანდარტულ ვალუტაში: ლარი, აშშ დოლარი, ევრო დამატებითი ვალუტა: გირვანქა სტერლინგი (GBP) ანგარიშის ვალუტის პროორიტეტულობის / თანხების ხარჯვის სქემის შეცვლა		უფასო 1.00 ლარი თვეში 10.00 ლარი
3	<b>ლიბერთი ანგარიშიდან თანხის გადარიცხვა ეროვნულ ვალუტაში</b>		
	ლიბერთი ბანკის შიგნით ლიბერთი ბანკის გარეთ		უფასო გადარიცხული თანხის 0.07%, მინ. 1.00 ლარი
4	<b>ლიბერთი ანგარიშიდან თანხის გადარიცხვა აშშ დოლარში</b>		
	ლიბერთი ბანკის შიგნით ლიბერთი ბანკის გარეთ		უფასო გადარიცხული თანხის 0.50%, მინ. 20.00 & მაქს. 500 აშშ დოლარი
5	<b>ლიბერთი ანგარიშიდან თანხის გადარიცხვა ევროში</b>		
	ლიბერთი ბანკის შიგნით ლიბერთი ბანკის გარეთ		უფასო გადარიცხული თანხის 0.50%, მინ. 20.00 & მაქს. 500 ევრო
6	<b>ლიბერთი ანგარიშიდან თანხის გადარიცხვა გირვანქა სტერლინგში</b>		
	ლიბერთი ბანკის შიგნით ლიბერთი ბანკის გარეთ		უფასო გადარიცხული თანხის 0.50%, მინ. 20.00 & მაქს. 500 გირვანქა სტერლინგი
7	<b>ნაღდი თანხის შეტანა ლიბერთი ანგარიშზე</b>		
	ეროვნული ვალუტა		უფასო
	აშშ დოლარი		უფასო
	ევრო		უფასო
გირვანქა სტერლინგი		უფასო	
8	<b>ლიბერთი ანგარიშიდან ლიბერთი ქარდით ნაღდი თანხის გატანა</b>		
	ლიბერთი ბანკის სერვის ცენტრებში	განაღებული თანხის 0.60%, მინ. 1.00 ლარი / 0.50 აშშ დოლარი / 0.50 ევრო / 0.50 გირვანქა სტერლინგი	
	ლიბერთი ბანკის ბანკომატებში	განაღებული თანხის 0.20%, მინ. 0.50 ლარი	
	კორსტანდარტ ბანკის სერვის ცენტრებში	განაღებული თანხის 0.60%, მინ. 1.00 ლარი	
	კორსტანდარტ ბანკის ბანკომატებში	განაღებული თანხის 0.60%, მინ. 1.00 ლარი	
სხვა ბანკის სერვის ცენტრებში / ბანკომატებში	განაღებული თანხის 2.00% მინ. 10.00 ლარი		



9	<b>ვალუტის გაცვლითი ოპერაციები</b>		
	ბანკის კომერციული კურსით		უფასო
10	<b>ლიბერთი ქარდის პირობები</b>		
	<b>ბარათის გადა</b>		2 წელი
	<b>ბარათით სავაჭრო და მომსახურების ობიექტებში სარგებლობა</b>		
	საქართველოში		უფასო
	საზღვარგარეთ		უფასო
	<b>განაღების დღიური ლიმიტი ბანკომატებში</b>		
	ლიბერთი ქარდი - ყველა სახეობის		3,000 ლარი
	<b>განაღების დღიური ლიმიტი ლიბერთი ბანკის სერვის ცენტრებში</b>		
	ლიბერთი ქარდი - ყველა სახეობის		შეზღუდვად
	<b>განაღების დღიური ლიმიტი სხვა ბანკებში</b>		
	ლიბერთი ქარდი - ყველა სახეობის		3,000 ლარი
	<b>სავაჭრო და მომსახურების ობიექტებში ანგარიშწირების დღიური ლიმიტი</b>		
	ლიბერთი ქარდი - ყველა სახეობის		15,000 ლარი
	<b>დაზიანებული ან დაკარგული ბარათის აღდგენა</b>		
	ლიბერთი ქარდი - Visa Classic / MasterCard Standard		40.00 ლარი
	ლიბერთი ქარდი - Visa Classic / MasterCard Standard EMV (მიკრო ჩიპით)		45.00 ლარი
	ლიბერთი ქარდი - Visa Classic Paywave (უკონტაქტო)		55.00 ლარი
	<b>დამატებითი ბარათ(ებ)ის დამზადება</b>		
	ლიბერთი ქარდი - Visa Classic / MasterCard Standard		40.00 ლარი
	ლიბერთი ქარდი - Visa Classic / MasterCard Standard EMV (მიკრო ჩიპით)		45.00 ლარი
	ლიბერთი ქარდი - Visa Classic Paywave (უკონტაქტო)		55.00 ლარი
	<b>სხვა პირობები</b>		
	ლიბერთი ქარდის დამზადება სასწრაფო რეჟიმში		შესაბამისი ბარათის ღირებულებას + 5.00 ლარი
	ლიბერთი ქარდის ლოკალურ სტოპ სიაში ჩასმა		უფასო
	ლიბერთი ქარდის საერთაშორისო სტოპ სიაში ჩასმა		80.00 ლარი
	ლიბერთი ანგარიშზე თანხის არასანქცირებული გადახარჯვის ჯარიმა		წლიური 32.00%, განაგარიშებული არასანქცირებული გადახარჯვის ყოველ დღეზე
	ლიბერთი ქარდის PIN-ის შეცვლა ბანკომატის საშუალებით		1.00 ლარი
	ლიბერთი ქარდის PIN-ის აღდგენა		3.00 ლარი
11	<b>VISA P2P საბარათე გადარიცხვების მომსახურება</b>		
	ლიბერთი ბანკის ბარათებზე ეროვნულ ვალუტაში		
	- საკომისიო	0.50% მინ. 1.00 ლარი	0.375% მინ. 0.75 ლარი
	- გადარიცხვის დღიური ლიმიტი		5,000 ლარი
	ლიბერთი ბანკის ბარათებზე აშშ დოლარში		
	- საკომისიო	0.50% მინ. 1.00 აშშ დოლარი	0.375% მინ. 0.75 აშშ ლარი
	- გადარიცხვის დღიური ლიმიტი		2,500 აშშ დოლარი
	ლიბერთი ბანკის ბარათებზე ევროში		
	- საკომისიო	0.50% მინ. 1.00 ევრო	0.375% მინ. 0.75 ევრო
	- გადარიცხვის დღიური ლიმიტი		2,500 აშშ დოლარის ექვივალენტი ევროში
	სხვა ბანკის ბარათებზე ეროვნულ ვალუტაში		
	- საკომისიო	0.50% მინ. 2.00 ლარი	0.375% მინ. 1.50 ლარი
	- გადარიცხვის დღიური ლიმიტი		5,000 ლარი
	სხვა ბანკის ბარათებზე აშშ დოლარში		
	- საკომისიო	1.00% მინ. 5.00 აშშ დოლარი	0.75% მინ. 3.75 აშშ დოლარი
	- გადარიცხვის დღიური ლიმიტი		2,500 აშშ დოლარი
	სხვა ბანკის ბარათებზე ევროში		
	- საკომისიო	1.00% მინ. 5.00 ევრო	0.75% მინ. 3.75 ევრო
	- გადარიცხვის დღიური ლიმიტი		2,500 აშშ დოლარის ექვივალენტი ევროში
12	<b>ცნობის / ამონაწერის გაცემა</b>		
	ყველა ტიპის ცნობის გაცემა (დავალაინების ცნობის გარდა)		10.00 ლარი
	ცნობის გაცემა ბანკის წინაშე დავალაინების შესახებ		20.00 ლარი
	ამონაწერის მიღება (1 წელზე მეტი ხანდაზმულობის ოპერაციებზე)		15.00 ლარი

1. საბანკო პაკეტი შემავალ სტანდარტულ Sბარათი ბარათზე გათვალისწინებულია 1 (ერთი) კალათა უფასოდ, რაც გულისხმობს იმას, რომ კლიენტს არ დაერიცხება 1 (ერთი) Sბარათი კალათის ყოველთვიური მომსახურების საკომისიო.

2. სერვისის გააქტიურება განხორციელდება არაუგვიანეს 2013 წლის 1 სექტემბრის.

3. პაკეტ კომფორტში შემავალ ავტომატურ გადარიცხვებში გათვალისწინებულია ერთი დავალაინი, რაც გულისხმობს იმას, რომ ყოველთვიურად ლიბერთი ანგარიშიდან სხვა წემისმიერ ერთ ანგარიშზე გადარიცხვა განხორციელდება უფასოდ კლიენტის მიერ განაცხადში მითითებული პირობების მიხედვით - დამატებითი დავალაინის სურვილის შემთხვევაში კლიენტმა უნდა შეიძინოს ავტომატური გადარიცხვები საცალო ტარიფების მიხედვით. საკომისიოს გადახდის დღედ გათვალისწინება ყოველი თვის ბოლო სამუშაო დღე.

4. პაკეტ კომფორტში შემავალ ავტომატურ გადახდებში გათვალისწინებულია ერთი დავალაინი, რაც გულისხმობს იმას, რომ ყოველთვიურად ლიბერთი ანგარიშიდან კომუნალური ან/და საკომუნიკაციო გადასახად(ებ)ის გადარიცხვა განხორციელდება უფასოდ კლიენტის მიერ განაცხადში მითითებული პირობების მიხედვით - დამატებითი დავალაინის სურვილის შემთხვევაში კლიენტმა უნდა შეიძინოს ავტომატური გადახდები საცალო ტარიფების მიხედვით. კლიენტს საშუალება აქვს ერთი დავალაინის ფარგლებში არჩიოს რამდენიმე განსხვავებული ტიპის პროვაიდერი.

5. ამონაწერი გაიზავნება ელექტრონულ ფოსტაზე.

6. სერვისის გააქტიურება განხორციელდება ბანკთან შეთანხმებით.

7. PIN-ის შეცვლა / აღდგენა ჩიპურ ბარათებზე არ არის შესაძლებელი.

**დანართი 3**

**სახელფასე პროგრამაში ჩართული ორგანიზაციის თანამშრომლების მომსახურების ტარიფები**

სახელფასე პროგრამაში ჩართული ორგანიზაციის თანამშრომლების მომსახურების ტარიფები			
	მომსახურების ტიპი	საგალო ტარიფი	საპაკეტი ტარიფი
1	<b>ლიბერთი ანგარიშის პაკეტი</b>		
	<b>ლიბერთი ანგარიში: პაკეტი საბაზისო</b>		
	- მულტისავალუტო ლიბერთი ანგარიში (GEL, USD, EUR)	-	უფასო
	- ლიბერთი ქარდი (Visa Electron / Classic / Gold - MasterCard Maestro / Standard / Gold)	-	უფასო
	<b>ლიბერთი ანგარიში: პაკეტი კომფორტი</b>		
	- ავტომატური გადარიცხვები	1.00 ლარი ყოველ დავალაგებაში	ერთი დავალაგება თვეში უფასოდ
	- ავტომატური გადახდები <sup>2</sup>	1.00 ლარი თვეში	უფასო
	- ყოველთვიური ამონაწერი <sup>3</sup>	1.00 ლარი თვეში	უფასო
	- ლიბერთი ქარდი მიკრო ჩიპით (Visa Classic / MasterCard Standard EMV)	საბაზისო პაკეტთან ერთად 5.00 ლარი, ცალკე 45.00 ლარი	უფასო
	- SMS ბანკი	0.50 ლარი თვეში	უფასო
	- ინტერნეტ ბანკი	1.00 ლარი თვეში	უფასო
	- სტანდარტული Sმარტივი ბარათი (8 ნიშნა - მობილური ტელეფონი ნომრის ზოლი 8 ციფრი) <sup>4</sup>	უფასო	უფასო
	- ანაზარი პატრიოტი	უფასო	უფასო
	- eMoney საფულე <sup>5</sup>	უფასო	უფასო
	ყოველთვიური წინასწარი	-	2.00 ლარი
	წინასწარი	-	18.00 ლარი
	<b>ლიბერთი ანგარიში: პაკეტი შენი სტილი</b>		
	- ფასდაკლების ქსელი	15.00 ლარი წელიწადში	უფასო
	- VISA P2P საბარათე გადარიცხვების მომსახურება 25%-იანი ფასდაკლებით	15.00 ლარი წელიწადში	უფასო
	- უკონტაქტო ვიზა ლიბერთი ქარდი (Visa Classic Paywave)	საბაზისო პაკეტთან ერთად 15.00 ლარი, ცალკე 55.00 ლარი	უფასო
- Gift Card	1.50 ლარი	უფასო	
ყოველთვიური	-	1.50 ლარი	
წინასწარი	-	15.00 ლარი	
<b>ლიბერთი ანგარიში: პაკეტი მთვზაური</b>			
- ფრაიორითი ტრეველერ / Priority Traveller	50.00 ლარი	უფასო	
- ფრაიორითი ფას / Priority Pass	35.00 ლარი	უფასო	
- სიმ ბარათი რეკომენდების ფუნქციით	50.00 ლარი	უფასო	
- უკონტაქტო ვიზა ლიბერთი ქარდი (Visa Classic Paywave)	საბაზისო პაკეტთან ერთად 15.00 ლარი, ცალკე 55.00 ლარი	უფასო	
ყოველთვიური	-	10.00 ლარი	
წინასწარი	-	99.00 ლარი	
<b>ლიბერთი ანგარიში: პაკეტი ექსტრა</b>			
- 0.50%-იანი დანამატი მ7 ანაზრის წლიურ საპროცენტო განაკვეთზე	-	-	
- 4.00%-იანი ფასდაკლება Magic Card-ის წლიური პროცენტიდან	-	-	
- ლიბერთი ანგარიშზე საპროცენტო სარგებლის დარიცხვა <sup>6</sup>	-	-	
წინასწარი	-	99.00 ლარი	
ლიბერთი ანგარიშის დამატებითი პაკეტების ერთჯერადი საჯარიმო საკომისიო		2.00 ლარი	
2	<b>დამატებითი ვალუტა</b>		
	გირვანჯა სტერლინგი (GBP)		1.00 ლარი თვეში
3	<b>VISA P2P საბარათე გადარიცხვების მომსახურება</b>		
	<b>ლიბერთი ბანკის ბარათებზე ეროვნულ ვალუტაში</b>		
	- საკომისიო	0.10% მინ. 0.50 ლარი	0.075% მინ. 0.37 ლარი
	- გადარიცხვის დღიური ლიმიტი		5,000 ლარი
	<b>ლიბერთი ბანკის ბარათებზე აშშ დოლარში</b>		
	- საკომისიო	0.10% მინ. 0.50 აშშ დოლარი	0.075% მინ. 0.37 აშშ დოლარი
	- გადარიცხვის დღიური ლიმიტი		2,500 აშშ დოლარი
	<b>ლიბერთი ბანკის ბარათებზე ევროში</b>		
	- საკომისიო	0.10% მინ. 0.50 ევრო	0.075% მინ. 0.37 ევრო
	- გადარიცხვის დღიური ლიმიტი		2,500 აშშ დოლარის ეკვივალენტი ევროში
	<b>სხვა ბანკის ბარათებზე ეროვნულ ვალუტაში</b>		
	- საკომისიო	0.50% მინ. 2.00 ლარი	0.375% მინ. 1.50 ლარი
	- გადარიცხვის დღიური ლიმიტი		5,000 ლარი
	<b>სხვა ბანკის ბარათებზე აშშ დოლარში</b>		
	- საკომისიო	1.00% მინ. 5.00 აშშ დოლარი	0.75% მინ. 3.75 აშშ დოლარი
	- გადარიცხვის დღიური ლიმიტი		2,500 აშშ დოლარი
	<b>სხვა ბანკის ბარათებზე ევროში</b>		
	- საკომისიო	1.00% მინ. 5.00 ევრო	0.75% მინ. 3.75 ევრო
	- გადარიცხვის დღიური ლიმიტი		2,500 აშშ დოლარის ეკვივალენტი ევროში

<b>4</b>	<b>სხვა მომსახურება</b>	
	ბანკსა და ორგანიზაციას შორის შეთანხმების მიხედვით	-

- 1 პაკეტ კომფორტში შემავალ ავტომატურ გადარიცხვებში გათვალისწინებულია ერთი დავალბა, რაც გულისხმობს იმას, რომ ყოველთვიურად ლიბერთი ანგარიშიდან სხვა ნებისმიერ ერთ ანგარიშზე გადარიცხვა განხორციელდება უფასოდ კლიენტის მიერ განაცხადში მითითებული პირობების მიხედვით - დამატებითი დავალების სურვილის შემთხვევაში კლიენტმა უნდა შეიძინოს ავტომატური გადარიცხვები საცალო ტარიფების მიხედვით. საკომისიოს გადახდის დღედ გათვალისწინება ყოველი თვის ბოლო სამუშაო დღე.
- 2 პაკეტ კომფორტში შემავალ ავტომატურ გადახდებში გათვალისწინებულია ერთი დავალბა, რაც გულისხმობს იმას, რომ ყოველთვიურად ლიბერთი ანგარიშიდან კომუნალური ან/და საკომუნიკაციო გადასახად(ებ)ის გადარიცხვა განხორციელდება უფასოდ კლიენტის მიერ განაცხადში მითითებული პირობების მიხედვით - დამატებითი დავალების სურვილის შემთხვევაში კლიენტმა უნდა შეიძინოს ავტომატური გადახდები საცალო ტარიფების მიხედვით. კლიენტს სამუშაო აქვს ერთი დავალების ფარგლებში აირჩიოს რამოდენიმე განსხვავებული ტიპის პროვაიდერი.
- 3 ამინაწერი გაიზავნება ელექტრონულ ფოსტაზე.
- 4 პაკეტ კომფორტში შემავალ სტანდარტული Sმარტივი ბარათზე გათვალისწინებულია 1 (ერთი) კალათა უფასოდ, რაც გულისხმობს იმას, რომ კლიენტს არ დაერიცხება 1 (ერთი) Sმარტივი კალათის ყოველთვიური მომსახურების საკომისიო.
- 5 სერვისის გააქტიურება განხორციელდება არაუგვიანეს 2013 წლის 1 სექტემბრისა.
- 6 სერვისის გააქტიურება განხორციელდება ბანკთან შეთანხმებით.